ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 27 აპრილი, 2022 №81 (8859) ფასი: 80 თეთრი


გვ.5

**50 წლის მასწავლებელი 13 წლის მოწაფისადმი სექსუალური ბრალდებისთვის დააკავეს**

**მანქანა ხაშურთან მიატოვეს**

ალექსი ნიადაგიშვილის მკვლელობისთვის 1 პირი დააკავეს



გვ.5

# „ნაციონალების თავმჯდომარეობაზე შემოთავაზება კი არა, ხუმრობაც არ ყოფილა“


გვ.2

გიორგი მარგველაშვილი: „თავმჯდომარეობა, წევრობა, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეობაც და საერთოდ, რაც კი ნაციონალურ მოძრაობას შეიძლება უკავშირდებოდეს, ყველაფერი მოგონილია“

**„დიდი უსამართლობა იქნება, ბიძინა ივანიშვილის გამო საქართველოს სანქცია დააკისრონ“**



## „ნაცმოძრაობამ დამფინანსებელი შეიცვალა“


გვ.3

მამუკა გამყრელიძე: „არ გამოვრიცხავ, რომ კვლავ მოხდეს ბმა ნაცმოძრაობასა და ევროპულ საქართველოს შორის“

**„შეერთებულ შტატებს რაღაც ხელმოსაჭიდი პირობა უნდა ჰქონდეს, რომ ივანიშვილი კრემლთან თანამშრომლობაში დაადანაშაულონ“**


გვ.3

## „ივანიშვილი სანქციებს 20 ივნისის გამოც იმსახურებს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილს პარლამენტში სერიოზული „თეატრალური დასი“ ჰყავს, გამორჩეული ყაველაშვილია!“

**პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყაზახეთის დელეგაციას შეხვდა**

მას ყაზახეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ხელმძღვანელობს


გვ.2

**ნიკა მელია: „სანქციების ჭურვები ბიძინა ივანიშვილთან სულ უფრო ახლოს ეცემა“**


გვ.4


გვ.4

**„პუტინს სჯერა იმ აბდაუბდის, რომელსაც რუსეთის ტელევიზიები გადმოსცემენ“**

იმპერიულად განწყობილი მიმომხილველები უკრაინის სახელმწიფოებრიობის დასასრულს ელიან

2 ირაკლი კობახიძე: „ჩანაწერი ავთენტურიც რომ იყოს, აქ არაფერზეა საუბარი“

5 მარტვილში პოლიციის უფროსის მოადგილის მანქანა მიცუხიშის დაეჯახა

5 სენაკში პოლიციელის ცემისთვის 3 პირი დააკავეს

6 დენის შმიგალი: „36 წლის შემდეგ მსოფლიო „ბირთვული ტერორის“ წინაშე დადგა“

1993230720223

# „ნაციონალების თავმჯდომარეობაზე შემოთავაზება კი არა, ხუმრობაც არ ყოფილა“

## გიორგი მარგველაშვილი: „თავმჯდომარეობა, წევრობა, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეობაც და საერთოდ, რაც კი ნაციონალურ მოძრაობას შეიძლება უკავშირდებოდეს, ყველაფერი მოგონილია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პასუხობს.



**„ჩემი და სააკაშვილის მიზანი იყო, მე უკრაინაში ჩავსულიყავი და ხალხისთვის მეჩვენებინა ჩვენი მხარდაჭერა. ორი პრეზიდენტის სახელით მე იქ ხალხსველაპარაკებოდი და ვეუბნებოდი, რომ ქართველი ხალხი მათ გვერდით დგას“**

***— ბატონო გიორგი, აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ პარტია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ ინიშნებით.***

— დიახ, ვიცი, მეც გავიგე მაგის თაობაზე.

***— რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?***

— მინდა გითხრათ, რომ სიმართლე არის 0% მთელი მაგ ამბის. არამცთუ თავმჯდომარეობას არ ვაპირებ, შემოთავაზებაც არ ყოფილა, განხილვაც არ ყოფილა, მოთელვაც არ ყოფილა და ხუმრობაც არ ყოფილა ასეთი მსგავსი.

***— მაშინ, საიდან მოვიდა ეს ინფორმაცია და ვის დასჭირდა ამის წინა პლანზე წამოწევა?***

— ალბათ ასეთია პროპაგანდის მანქანა, ნეოკომუნიზმისა და ნეოკომკავშირის პროპაგანდის მანქანა, რომელიც „ქართულ ოცნებაში“ არსებობს. გუშინ ძალიან მტკივნეულად შეეხოთ ის ამბავი, ივანიშვილის საუბრები რუს ოლიგარქებთან და შესაძლოა ასეთი მზა რეცეპტები აქვთ, როგორ გადაფარონ თავიანთი პრობლემები. რამე რომ ყოფილიყო მსგავსი, თუნდაც 1% მაინც და გააბუქეს, კიდევ სხვა ამბავია, არაფერი მსგავსი არ ყოფილა.

***— ამ ინფორმაციას წინ უძღოდა ფაქტი, რომ თქვენ ნაციონალურ მოძრაობაში გაწევრიანდით. სწორედ ეს ხომ არ დაედო საფუძვლად ამ ყველაფერს?***

— ეს ყველაფერი მოიგონეს სწორედ ივანიშვილის ამბის გადასაფარად.

***— ეს პარტიის თავმჯდომარეობა, მაგრამ წევრობაზე უფრო ადრე გავრცელდა ინფორმაცია.***

— თავმჯდომარეობა, წევრობა, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეობაც და საერთოდ, რაც კი ნაციონალურ მოძრაობას შეიძლება უკავშირდებოდეს, ყველაფერი მოგონილია.

***— ანუ არანაირი სამომავლო გეგმები ამ პარტიასთან არ გაკავშირებთ?***

— არა, როგორ მაკავშირებს, აბა?! ან როდის მაკავშირებდა? დაარსების დღიდან ჩვენ სხვადასხვა გზებით მივდივართ. მაგათი გზა სხვაა, ჩემი გზა — სხვა.

***— როდესაც თქვენი ერთობლივი ფოტო გავრცელდა უკრაინიდან, სწორედ მაშინ წამოვიდა ეს ინფორმაციები, რომ უკვე ერთად ხართ.***

— რომელი ფოტო, ქართულ დროშას რომ ვშლით? ამ შემთხვევაში გეტყვით, რომ არის ხოლმე მომენტები, რომლებიც ზოგიერთისთვის ძნელად გასაგებია. ეს სამწუხაროა. ზოგჯერ არის თემები, რომლებიც უფრო მაღლა დგას, ვიდრე პარტიული ინტერესები. ასეთია სამშობლო, ასეთია საქართველო, ასეთია უკრაინისთვის მხარდაჭერა. იმ ფოტოზე ვართ ქართველები, რომლებიც მხარს ვუჭერთ უკრაინას. მაგრამ ძალიან ბევრისთვის ძნელი დასანახია, რომ ესენი არიან არა ერთი პარტიის წევრები, არამედ ქართველები. ეტყობა, თავის თავსაც ეს ადამიანები უფრო პარტიის წევრებად აღიქვამენ, ვიდრე ქართველებად, ის ადამიანები, რომლებიც ამაში პარტიულს ხედავენ.

***— ბატონო გიორგი, რადგან ასე აქტუალურია დღეს თქვენი პერსონა, გკითხავთ, თუ აპირებთ ქართულ პოლიტიკაში აქტიურად დაბრუნებას?***

— მე ვცდილობდი გარკვეული პერიოდი, რომ არა ნაციონალური მოძრაობა, არამედ სხვა ოპოზიციური პარტიები გამეერთიანებინა, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა 2020-ში და 2021-ში. მომავალში რა იქნება, ვერ გეტყვით.

***— რას იტყვით მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით? უამრავ მოწოდებას ვისმენთ, რომ შეიწყალონ ან სამკურნალოდ გაუშვან. რა მოლოდინი გაქვთ?***

— მიხეილ სააკაშვილი არის პუტინის ტყვე საქართველოში. აი, ეს იქნება ჩემი პასუხი.

***— ბატონო გიორგი, როდესაც ასეთი ფარული ჩანაწერები ვრცელდება, ვგულისხმობ ივანიშვილსა და რუს ოლიგარქებს, ამის დადასტურების შემთხვევაში, რამდენად არის იმის საფრთხე, რომ სანქციები ჩვენს ქვეყანასაც დააკისრონ?***

— დიდი უსამართლობა იქნება, რომ ბიძინა ივანიშვილის გამო საქართველოს დააკისრონ სანქცია. ბევრი უსამართლობა მინახავს ცხოვრებაში, მაგრამ ეს იქნება ძალიან დიდი უსამართლობა, რომ საქართველოს დაეკისროს სანქციები იმ ადამიანის გამო, რომელსაც თავისი ბიოგრაფია, წარსული და მომავალი აქვს. საქართველოსთვის სანქციები აბსოლუტურად არაადეკვატური იქნება. თუმცა ახლა იმდენად არეულია მსოფლიო, არაფერს არ გამოვრიცხავ.

***— ბატონო გიორგი, უკრაინაში ვიზიტისას თუ გქონდათ მაღალი რანგის შეხვედრები? როგორი განწყობებია? როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე ჩავიდა უკრაინაში ვიზიტით, იყო მოლოდინი, რომ ორ ქვეყანას შორის სიტუაცია დალაგდებოდა, თუმცა ახლა ეს არ იგრძნობა. რას იტყვით თქვენ?***

— მე მივესალმე პარლამენტის დელეგაციის ვიზიტს უკრაინაში, კარგი იყო. ნამდვილად საჭიროა, რომ ქართველები იქ მეტად იყვნენ ჩასული, მხარი დავუჭიროთ და ვაჩვენოთ ჩვენი თანადგომა. მე მქონდა ძალიან თბილი და საჭირო შეხვედრები ჯარისკაცებთან, მოქალაქეებთან და ასე შემდეგ. პოლიტიკური კომპონენტი ჩემს შემთხვევაში არ იყო. თუმცა ეს იყო ჩემი და სააკაშვილის მიზანი, რომ მე იქ ჩავსულიყავი და ხალხისთვის მეჩვენებინა ჩვენი მხარდაჭერა. ორი პრეზიდენტის სახელით მე იქ ხალხს ველაპარაკებოდი და ვეუბნებოდი, რომ ქართველი ხალხი მათ გვერდით დგას. ეს იყო ფორმატი და ეს ფორმატი განხორციელდა.

***— სწორედ სააკაშვილისა და თქვენს ამ შეთანხმებას ხომ არ მოჰყვა ეს ჭორებიც?***

— ჭორები მოჰყვება ხოლმე პროპაგანდის გამოუვალ მდგომარეობას და, კონსულტაციები რომ მქონდა, ეს არც დამიმალავს, აბა სხვაგვარად სააკაშვილის სახელით როგორ ვილაპარაკებდი? ჩვენ ერთობლივად გადავწყვიტეთ, რომ ზეპარტიული მხარდაჭერის სახალხო დიპლომატიური მისია ჩაგვეტარებინა უკრაინაში. სხვათა შორის, უცნაურად მოჰყვა ამას საპარლამენტო დელეგაცია. როგორც კი გადაწყდა, რომ მივდივარ, მერე დაჩქარდა საპარლამენტო დელეგაციის შექმნაც.

***— არადა, გავრცელდა ინფორმაცია, გიორგი მარგველაშვილი ნაციონალებთან უკრაინაში გაიპარა, რათა საპარლამენტო დელეგაციისთვის ჩაესწროთ.***

— მართლა? არ ვიცოდი, ასეთი იუმორიც თუ ჰქონიათ. თურმე გავიპარე... ეს რომ ტყუილია, ამის მტკიცებულება შეგიძლიათ ნახოთ, თუნდაც სამთავრობო მედიის პუბლიკაციები, რომ მე სააკაშვილთან შევთანხმდი უკრაინაში წასვლაზე. მე რომ წასვლას ვაპირებდი, ეს ინფორმაცია ჰქონდა სამთავრობო მედიას.

***— ბატონო გიორგი, უნდა ყოფილიყო თუ არა თქვენთან ერთად სალომე ზურაბიშვილი?***

— მე მინდოდა, რომ იქ ყოფილიყო სამი პრეზიდენტის პოზიცია. ეს იყო ჩემი მიზანი, მაგრამ ვერ მოხერხდა.

# ირაკლი კობახიძე: „ჩანაწერი ავთენტურიც რომ იყოს, აქ არაფერზეა საუბარი“

— როცა ორი ბიზნესმენი საუბრობს ერთმანეთთან სავაჭრო ურთიერთობებზე, ამაში რამეა გასაკვირი? ერთადერთი ქვეყანა, მე რაც ვიცი, რომელსაც სანქციები აქვს დაწესებული ევტუშენკოვისთვის, არის ავსტრალია.

ასე ეხმიანება პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გავრცელებულ აუდიოჩანაწერს, სადაც „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი და რუსი ოლიგარქი ვლადიმერ ევტუშენკოვი საუბრობენ.

კობახიძის თქმით, არავინ იცის, ჩანაწერი ავთენტურია თუ არა. მისივე თქმით, ხელისუფლების პოზიცია, რომ რუსეთთან არ წყვეტენ სავაჭრო ურთიერთობებს, ოფიციალურად ცნობილია.

— ავთენტურია თუ არა, ეს არავინ იცის. რომც იყოს ავთენტური, აქ არაფერზეა საუბარი. საუბარია სავაჭრო ურთიერთობებზე. თქვენ იცით, რომ საქართველოს ოფიციალურად აქვს დაფიქსირებული ამაზე პოზიცია, საქართველო ინარჩუნებს სავაჭრო ურთიერთობებს რუსეთის ფედერაციასთან.

ხდება პროდუქტის ექსპორტირება და იმპორტირება, ეს არის ჩვენი გაცხადებული პოზიცია, ამაში არც კანონსაწინააღმდეგო რაიმე და არც სხვა პრინციპებთან მოვდივართ წინააღმდეგობაში.

გარდა ამისა, ხდება პროდუქტის იმპორტირება მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისთვის. მე შეგახსენებთ, უკრაინაც ინარჩუნებს გარკვეულ სავაჭრო ურთიერთობებს რუსეთის ფედერაციასთან, ხდება რუსეთიდან გაზის მიღება უკრაინაში, მათ შორის საკუთარი მოხმარებისთვის და შემდეგ ხდება ამ გაზის ტრანზიტით გადაცემა ევროკავშირის ქვეყნებისთვის.

აქედან გამომდინარე, იმაში, რომ საქართველო სავაჭრო ურთიერთობებს ინარჩუნებს, არაფერია არც კანონსაწინააღმდეგო და არც ამორალური, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა უკრაინაც ინარჩუნებს.

რაც შეეხება გამოძიებას, ეს არის სამართალდამცავი ორგანოების გადასაწყვეტი, თუ შეხვედრა იყო ვინმესთან, ამაზე პრემიერი გააკეთებს თვითონ განცხადებას და კომენტარს.

ამ ჩანაწერში საქმე ეხება სავაჭრო ურთიერთობებს. როცა ორი ბიზნესმენი საუბრობს ერთმანეთთან სავაჭრო ურთიერთობებზე, ამაში რამეა გასაკვირი? ერთადერთი ქვეყანა, მე რაც ვიცი, რომელსაც სანქციები აქვს დაწესებული ამ პირისთვის, არის ავსტრალია. ეს არის საინტერესო დეტალი, — განაცხადა კობახიძემ.

# პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყაზახეთის დელეგაციას შეხვდა

## მას ყაზახეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ხელმძღვანელობს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყაზახეთის დელეგაციას შეხვდა, რომელსაც ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი საგარეო საკითხებში იერჟან კაიზიხანი ხელმძღვანელობს.

მხარეებმა საქართველოს და ყაზახეთს შორის არსებული მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები განიხილეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობაზე და ამ კონტექსტში ხაზი გაესვა ყაზახეთ-საქართველოს მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის მე-11 სხდომის მნიშვნელობას, რომელიც უახლოეს პერიოდში თბილისში გაიმართება.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველი სამი თვის განმავლობაში, ისევე, როგორც გასულ წელს, ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობა მკვეთრად გაზრდილია, თუმცა, მთავრობის მეთაურის თქმით, დადებითი დინამიკის პარალელურად, არსებობს დიდი პოტენციალი, რომ კიდევ უფრო მეტად განვითარდეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. ხაზი გაესვა საქართველოსა და ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონის სატრანზიტო პოტენციალის ეფექტურად გამოყენების მნიშვნელობას. აგრეთვე, ითქვა, რომ საქართველო მიესალმება ყაზახ ინვესტორებს. საუბარი შეეხო სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის სფეროში სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს.



მთავრობის მეთაურმა ყაზახეთის მხარეს მადლობა გადაუხადა საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და არაღიარების პოლიტიკისადმი მხარდაჭერისთვის. ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მთავრობის ერთგულება კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის მიმართ.

საუბარი შეეხო უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს, აღინიშნა, რომ საქართველო მხარს უჭერს უკრაინას პოლიტიკურად, ასევე დიპლომატიურად, მათ შორის საერთაშორისო ფორმატებში და უკრაინელ ხალხს ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს.

შეხვედრისას ყურადღება დაეთმო იმ ფაქტს, რომ 2022 წელი საქართველო-ყაზახეთის ორმხრივ ურთიერთობებში განსაკუთრებული წელია, ვინაიდან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან ოცდაათი წელი სრულდება.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ყაზახეთის მხრიდან ყაზახეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბაურჟან მუხამეჯანოვი, ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწე ასეტ ისეკეშევი, ეროვნული ნავთობისა და გაზის კომპანია „KazMunayGas“-ის ხელმძღვანელი მაგზუმ მირზაგალიევი და ეროვნული კომპანიის „Kazakhstan Railways“-ის ხელმძღვანელი ნურლან საურანბაევი, ხოლო საქართველოს მხრიდან: ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი იოსებ ტყემალაძე და სს ,,საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი დავით ფერაძე ესწრებოდნენ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაცმოძრაობამ დამფინანსებელი შეიცვალა“

## მამუკა გამყრელიძე: „არ გამოვრიცხავ, რომ კვლავ მოხდეს ბმა ნაცმოძრაობასა და ევროპულ საქართველოს შორის“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ შიდაპოლიტიკურ პროცესებს, რას იტყვით გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებზე, სადაც ბიძინა ივანიშვილი და რუსი ოლიგარქი ვლადიმერ ევტუშენკოვი სანქციებისგან გვერდის ავლაზე საუბრობენ? ამის გამო არახამია ბიძინა ივანიშვილისთვის დასავლეთის მხრიდან სანქციების დაკისრებას ითხოვს. პროცესების როგორ განვითარებას ელით?***

– მოდით, ამ კონკრეტული ჩანაწერების შეფასებით დავიწყოთ. არავისთვის ახალი არ არის და სიურპრიზი არ ყოფილა, რომ ამ ხელისუფლებას და პირადად ივანიშვილს ურთიერთობა აქვთ რუს ბიზნესმენებთან. დიდი ხნის ნაცნობობა ექნებათ, დარწმუნებული ვარ, ივანიშვილსა და ევტუშენკოვს. ამიტომ ჩემთვის არაფერი გასაკვირი არ არის. რუს ბიზნესმენებს ექნებათ რაღაცა ინტერესები, ცხადია, საქართველოში, რადგან რუსეთში განსაკუთრებით გაფუჭდა ბიზნესსიტუაცია. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, საქართველოში შეეცადონ ინვესტიციების გაკეთებას. ამაში კრიმინალურს ვერაფერს ვხედავ. თუ ეს ინვესტიციები იქნება კანონის ჩარჩოებში, თუ ეს ბიზნესმენები გადაიხდიან გადასახადებს საქართველოში, ცუდი არ არის.

***– ამით რუსული საქმე არ კეთდება, ბატონო მამუკა?***

– რუსული საქმე გაკეთდება მაშინ, თუ ამ ბიზნესმენების ჩართულობა მოხდება სტრატეგიულ ბიზნესში, მაგალითად, რკინიგზაში, ენერგეტიკაში და ასე შემდეგ. ამ სფეროებს არ უნდა გავაკაროთ. მოკლედ, ინვესტირებაში საქართველოში ბიზნესში მე კრიმინალურს ვერ ვხედავ ვერაფერს, ვიმეორებ, თუ ეს იქნება კანონის ჩარჩოებში. აქ მთავარი ერთი ფაქტორია – ეს არ უნდა ეხებოდეს იმ ბიზნესმენებს, რომლებიც არიან სანქციების ქვეშ! ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, დერიპასკა. დერიპასკა რომ ჩამოვიდეს, მილიარდები ჩამოგვიტანოს და დაგვილაგოს, არ უნდა მიიღონ, იმიტომ, რომ ის სანქცირებულია, შესაბამისად, ეს გამოიწვევს ძალიან სერიოზულ კითხვებს.

***– ანუ თქვენ საუბრობთ ისეთ ბიზნესმენებზე, რომლებიც არ არიან სანქცირებულები და გაურბიან პუტინის რეჟიმს?***

– რა თქმა უნდა, ისეთი ხალხის მოღვაწეობა საქართველოში, ვინც კრემლთან არ თანამშრომლობს და მათ ჰქონდათ რაღაცა ბიზნესები რუსეთში, რომლებსაც შეხება არ ჰქონიათ კრემლთან, პირიქით, საინტერესო იქნებოდა, ხოლო ისინი, ვინც სანქცირებულები არიან, რაც არ უნდა შემოვლითი გზებით იარონ, ოფშორული კომპანიებიდან შემოიტანონ, ყველა ვარიანტში ეს გაიხსნება, აუცილებლად გამომჟღავნდება და მაშინ კატასტროფულ სიტუაციაში მოვხვდებით და, შესაძლოა, ჩვენც სერიოზული სანქციები მივიღოთ ამაზე. ამიტომ აქ გამყოფი ხაზი უნდა გავავლოთ. იმას, ვინც სანქცირებულია, ახლოს არ ვიკარებთ, ვინც პუტინის რეჟიმს გამოექცა და ყველაფერი უნდა, რომ კანონიერად წარმართოს, აქ პრობლემას ვერ ვხედავ.

***– არახამიას განცხადებებზე რას იტყვით, ამ შემთხვევაში რამდენად ხედავთ იმის საფრთხეს, რომ სანქციები დაგვიწესონ?***

– ამ შემთხვევაში, მე ვერც კი შევაფასებ არახამიას განცხადებას. ეს არის მოწოდება მოწოდებისათვის. ეს განცხადება გაკეთებულია, უბრალოდ, ჰაერში. შეერთებულ შტატებს უნდა ჰქონდეს რაღაც ხელმოსაჭიდი პირობა, რომ დაადანაშაულონ ივანიშვილი კრემლთან თანამშრომლობაში. ჩვენ კი ვამბობთ, რომ გაზპრომის მოწილეა და იქ ბიზნესები აქვს, მაგრამ, თუ კრემლთან თანამშრომლობაში არ არის შემჩნეული, შესაბამისად, მის სანქცირებას არც არავინ დაიწყებს. მით უმეტეს, დღეს ივანიშვილი ოფიციალურად პოლიტიკაში ჩართული არ არის, ძალიანაც ვერ გამოეკიდები.



**„შეერთებულ შტატებს რაღაც ხელმოსაჭიდი პირობა უნდა ჰქონდეს, რომ ივანიშვილი კრემლთან თანამშრომლობაში დაადანაშაულონ“**

***– თუმცა საერთაშორისო დონეზე ძალიან გვაზიანებს ასეთი განცხადებები. დასავლეთიც ხომ რეაგირებს მსგავს განცხადებებზე?***

– თუ ივანიშვილი რაღაცას უკანონოდ აკეთებს და სანქცირებულ ბიზნესმენებს თუ ეხმარება საქართველოში ბიზნესის მოწყობაში, რა თქმა უნდა, მას აუცილებლად მოსთხოვენ პასუხს!

***– რას იტყვით ნაციონალურ მოძრაობაზე, მათ ქმედებებსა და განცხადებებზე? გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიორგი მარგველაშვილი ნაცმოძრაობის თავმჯდომარედ ინიშნება. გადაჯგუფება მიმდინარეობს? რისთვის ემზადებიან?***

– როგორც ვიცი, ნაციონალურმა მოძრაობამ დამფინანსებელი შეიცვალა და, შესაბამისად, უფრო სხვანაირი ხდება ეს პარტია, ნაკლებად რადიკალური.

***– ვინ გახდა მათი დამფინანსებელი?***

– ამაზე ხომ დადის ჭორები.

***– და მაინც ჭორის დონეზე? თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– როგორც ამბობენ, კეზერაშვილი აფინანსებს.

***– ძველ თავმჯდომარეს უშვებენ? გადაწყვეტილია?***

– იცით, მე ნაციონალურ მოძრაობასთან აღარანაირი კავშირი არ დამრჩა. სამწუხაროდ, აი, ასე მოხდა ჩვენი დაშორება. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რა არის ნაციონალური მოძრაობა და რა შინაარსი აქვს მას, ვინც არ უნდა იყოს ამ პარტიის თავმჯდომარე და ვინც არ უნდა იყოს მისი დამფინანსებელი, შეიძლება, უფრო მოამრგვალო ეს რადიკალური წახნაგები ნაციონალური მოძრაობისა, მაგრამ მთელი ნაციონალური მოძრაობის 99% არის მიხეილ სააკაშვილის ხმები. როგორც კი მიშა სააკაშვილი იტყვის, მე აღარ მინდა, რამე საერთო მქონდეს ნაციონალურ მოძრაობასთანო, იქ დამთავრდება ნაციონალური მოძრაობა და, ოჯახის წევრების გარდა, სხვა ხმას ვერ მიიღებს.

***– მიხეილ სააკაშვილი ახსენეთ და პარტიის ლიდერები აქტიურად მოითხოვენ მის სამკურნალოდ გადაყვანას უცხოეთში. უკვე არაერთი მიმართვა მოვისმინეთ. რა მოლოდინი გაქვთ, რამდენად მძიმედ არის ავად სააკაშვილი და როგორია მისი მომავალი?***

– ნინო ლომჯარიას უნდა გაეკეთებინა კონსილიუმის შედეგებზე განცხადება, მაგრამ შემდეგ აღარ გამოჩნდა და ეს ყველაფერი კითხვებს ბადებს.

***– რას გულისხმობთ?***

– კონსილიუმს შეიძლება დიაგნოზი არ გაესაჯაროებინა. ეს მაინც სამედიცინო საიდუმლოებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ შეეძლოთ, დასკვნა გაეკეთებინათ, სააკაშვილი სასწრაფოდ საჭიროებს გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში თუ არა. ჩვენ ვხედავთ, რომ არანაირი განცხადება არ გაკეთებულა. ეს ყველაფერი კითხვებს ბადებს. მე გამიჩნდა კითხვები, რა თქმა უნდა.

***– როგორ გესახებათ მისი მომავალი?***

– აქ ორმხრივი შეფასება შეიძლება გაკეთდეს. ერთი მხრივ, ამ ხმების 99% რომ მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ, მეორე მხრივ, მას ჰყავს ძალიან ეგზალტირებული მრევლი, ძალიან დიდი, თანაც აგრესიული. რამდენიმე დღის წინ წუხილი გამოვთქვი, ცუდად გამოიყურება მიშა, იქნებ გადაიყვანონ-მეთქი სამკურნალო დაწესებულებაში და, რომ დამესია მისი მრევლი, როგორ გაბედე მისი შეცოდებაო. ღმერთმა ხელი მოუმართოთ, რაც უნდათ, ის ქნან. აი, ამ ეგზალტირებული მრევლის ხელში დღეს სააკაშვილი, ჩემი აზრით, ძალიან ბევრს კარგავს. ის კარგავს რეალობის აღქმას.

***– თქვენი აზრით, პარტიის თავმჯდომარის, დამფინანსებლის ცვლილება – ეს ყველაფერი სააკაშვილთან შეთანხმებით ხდება?***

– ეს შიდა სამზარეულოა და დეტალები არ ვიცი. თუ პოლიტიკას შეცვლიან და ამ ბასრ წახნაგებს ცოტა მოამრგვალებენ, კარგი იქნება. არ გამოვრიცხავ, რომ კვლავ მოხდეს ბმა ნაცმოძრაობასა და ევროპულ საქართველოს შორის, ასევე, დამფინანსებელიც, გავრცელებული ინფორმაციით, ერთი ეყოლებათ.

***– შესაძლოა, კვლავ ერთად ვიხილოთ?***

– შეიძლება, დამფინანსებლის ცვლილებამ სწორედ ასეთი ახალი სახით შემოგვთავაზოს ეს პარტია.

## მარტში ვადაგადაცილების მქონე მსესხებელთა წილი შემცირდა

მარტში ვადაგადაცილების მქონე მსესხებელთა წილი შემცირდა. კერძოდ, 2022 წლის მარტის მდგომარეობით, საქართველოში მსესხებლების 11.8%-ს ვადაგადაცილება უფიქსირდება, მაშინ როცა თებერვალში ეს მაჩვენებელი 12,1% იყო.

„კრედიტინფოს“ 2022 წლის მარტის სტატისტიკის მიხედვით, 30 დღიდან 3 წლამდე ვადაგადაცილება 216.792 მსესხებელს უფიქსირდება, კონტრაქტების რაოდენობა კი 395.681-ს შეადგენს.

საერთო ჯამში, მარტის მდგომარეობით, საქართველოში საფინანსო სექტორის ვალი 1.844.365 ადამიანს აქვს, ჯამში 33.341.630.054 ლარის მოცულობის.

აღსანიშნავია, რომ მსესხებლების 85,3% საბანკო სექტორზე მოდის, კერძოდ, მარტის მდგომარეობით, ბანკებიდან 30.536.690.780 ლარის მოცულობის კრედიტი სულ 1.572.496 მსესხებელს აქვს აღებული.

ამასთან, სებ-ის მიერ სხვა რეგულირებადი საფინანსო ინსტიტუტების (მიკროსაფინანსო, სესხის გამცემი სუბიექტი) კრედიტორი 651.990 ადამიანია, გაცემული სესხების მოცულობა კი 2.375.224.359 ლარს შეადგენს.

კიდევ 17.821 ადამიანს კი, ჯამში, 429.714.915 ლარის სესხი აღებული აქვს სალიზინგო, სამშენებლო და სხვა ტიპის კომპანიისგან.

# „ივანიშვილი სანქციებს 20 ივნისის გამოც იმსახურებს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილს პარლამენტში სერიოზული „თეატრალური დასი“ ჰყავს, გამორჩეული ყაველაშვილია!“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ლაშა, ევტუშენკოვმა „ფორმულასთან“ საუბარში დაადასტურა, რომ მისი კომპანიის ვიცეპრეზიდენტი ღარიბაშვილს შეხვდა და დასვენებაზე ისაუბრეს. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება მოჰყვეს ამ ფარულ ჩანაწერს და რამდენად მნიშვნელოვანია ავთენტურობის დადგენა?***

– ივანიშვილი თავისი წარმომავლობით რუსი ოლიგარქი რომ არის, დიდი ხანია ცნობილია. ამიტომ ის დასავლეთის მხრიდან სანქციებს დიდი ხანია იმსახურებს. სანქციებს იმსახურებს სხვა უამრავი მიზეზის, თუნდაც 20 ივნისის გამო.

**„ერთი კითხვა მაქვს: ვინმე ხიდაშელი გარეჯის დაბრუნებას რომ გვპირდებოდა, რატომ ვერ დააბრუნა?! რაჭის ტყეები რატომ აქვს მითვისებული?! ვინ არის ეს კაცი და რა უნდა?!“**

ამ ფარული ჩანაწერის გავრცელების შემდეგ ბიძინა ივანიშვილი ძალიან ახლოს არის დასავლეთის, კონკრეტულად კი ამერიკისა და ევროპის ბევრი ქვეყნის სანქციასთან. სიმართლე გითხრათ, ეს ძალიან კარგი იქნება, რადგან ქვეყანას ასცდება სანქცია. ეს უნდა იყოს კერძო პირის, ბიძინა ივანიშვილისთვის დაწესებული პიროვნული სანქცია და არა ქვეყნისთვის.

ისედაც არსებობდა ეჭვი, რომ შეიძლება აქ რუსი ოლიგარქებისთვის სასათბურე პირობები შექმნილიყო და ამ ჩანაწერმა ეს ეჭვი დაადასტურა.

რაც შეეხება ჩანაწერის ავთენტურობას, უკვე აღარავინ ამბობს არც მთავრობაში და არც არსად, რომ გავრცელებული ფარული ჩანაწერი შეიძლება ავთენტური არ იყოს. ერთადერთი, ვინც „ოცნების“ ჩვენებას ასცდა, შალვა პაპუაშვილია, რომელსაც ჯერ კიდევ ეჭვი შეაქვს ავთენტურობაში. ეტყობა, იმდენად უმნიშვნელო პირია „ოცნებაში“, რომ დალაგებული მესიჯბოქსი არც კი შეატყობინეს.

ეს ჩანაწერი ბევრი მიმართულებით არის საინტერესო, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ბიძინა ივანიშვილი თავად ადასტურებს, რომ არსად არ წასულა და პოლიტიკაში რჩება, რომ ღარიბაშვილი გააკეთებს იმას, რაც საჭიროა, ვინმე ალი და ირაკლი ოლიგარქების საქმეებს მოაკვარახჭინებენ. თუმცა ოფიციალურად ბიჭებმა „დასვენებაზე“ ისაუბრეს. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. არ შეიძლება, ეს ყველაფერი ავიტანოთ. უკვე დაგვცინიან. ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, იმის ნაცვლად, რომ დეოკუპაციაზე, ეკონომიკურ გარღვევებზე, რეფორმებზე, ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში შეყვანაზე ფიქრობდეს და ამისთვის დღესა და ღამეს ასწორებდეს, ვინმე ევტუშენკოვის საქმეების მოგვარებით არის დაკავებული. უარესის ღირსი ვართ! ამ ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა შეიგნონ და ჩახედონ სიმართლეს თვალებში – ან უნდა დასრულდეს ერთი კაცის მიერ მართული ჩრდილოვანი პოლიტიკა და მმართველობა, ან უნდა შევეგუოთ იმ რეალობას, რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს რუსეთის ოფიციალური ნაწილიც კი გავხდეთ. ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია სანქციების დაწესება ივანიშვილისთვის და ქუჩაში აქციების გამართვა.

***– დეპუტატი ყაველაშვილი ოპოზიციას მოუწოდებს – დაასვენეთ ეს ადამიანი, ივანიშვილი პოლიტიკიდან წასულია, ჩვენ „ქართულ ოცნებას“ გვესაუბრეთო.***

– ბიძინა ივანიშვილს პარლამენტში სერიოზული „თეატრალური დასი“ ჰყავს. საოცრად ოსტატურად აქვთ როლები მორგებული, დიპლომირებულ მსახიობებს რომ შეშურდებათ, ისე. ამ დასიდან განსაკუთრებით გამორჩეული სწორედ ყაველაშვილია. კიდევ კარგი, არ დაიგინა, როგორც ადრე, რადგან ეს ფარული ჩანაწერი სერიოზული განხილვის საგანი გახდება დასავლეთში და ამჯერად ნამდვილად არ ასცდება ივანიშვილს სანქციები. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ის არსად არ წასულა, რომ ყველაფერს თავად განაგებს. რეალურად საქართველოს ერთი კაცი მართავს. ოლიგარქის მმართველობის დასრულებას, დარწმუნებული ვარ, სანქციების დაწესებაც დააჩქარებს.

ერთი კითხვა მაქვს: ასეთ ყველა „მნიშვნელოვან“ დროს რატომ ფიგურირებს ვინმე ხიდაშელი?! გარეჯის დაბრუნებას რომ გვპირდებოდა ერთ დროს თურმე გამქრალი და მერე მის მიერ დაბრუნებული თუ ნაპოვნი რუკებით, რატომ ვერ დააბრუნა გარეჯი, დღესაც რომ ჩაკეტილია?! რაჭის ტყეები რატომ გადაეცა, რატომ აქვს მითვისებული?! თურმე კეთილშობილი ირმების მოშენებას აპირებს. ვინ არის ეს კაცი და რა უნდა?!

***– კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელიც გუშინ განხილვის საგანი იყო, მეოთხე პრეზიდენტს შეეხება. თითქოს მარგველაშვილს სააკაშვილმა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობა შესთავაზა. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ საკითხზე?***

– მე არანაირი ურთიერთობა არ მაქვს გიორგი მარგველაშვილთან, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ეს თემა ივანიშვილისა და ევტუშენკოვის ფარული ჩანაწერის გადასაფარად არის მოფიქრებული. მხოლოდ და მხოლოდ ეს შეიძლება იყოს ამ ფეიკის მიზეზი. დარწმუნებული ვარ, ეს შეთხზული ამბავია და გიორგი მარგველაშვილი არავის პარტიის თავმჯდომარეობას არ აპირებს.

# „პუტინს სჯერა იმ აბდაუბდის, რომელსაც რუსეთის ტელევიზიები გადმოსცემენ“

## იმპერიულად განწყობილი მიმომხილველები უკრაინის სახელმწიფოებრიობის დასასრულს ელიან

მარიამ მჭედლიშვილი



უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის დაწყებიდან ორ თვეზე მეტი გავიდა. რუსეთის არმია განაგრძობს თავის სამხედრო აგრესიასა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ უსასტიკეს დანაშაულებს. უკრაინის ძალები თავს მედგრად იცავენ. დასავლეთი განაგრძობს უკრაინის მხარდაჭერას. მხარეებს შორის მოლაპარაკებებისთვის მზადყოფნა არ იგრძნობა. პუტინის სავარაუდო გეგმებსა და განცდებზე „ფაინენშელ თაიმსს“ პუტინის გარემოცვაში არსებული წყაროები ესაუბრებიან.

### რატომ მოეძალა პუტინს ახალ-ახალი ტერიტორიების დაკავების წყურვილი?

კრემლის წყაროებმა „ფაინენშელ თაიმსს“ აუწყეს, რომ კრემლის ლიდერს უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე დამახინჯებული წარმოდგენა აქვს. ის ცდილობს, დაიკავოს ქვეყნის რაც შეიძლება მეტი ტერიტორია. მარტში, საკუთარი არმიის წარუმატებლობის შემდეგ, პუტინი სერიოზულად ფიქრობდა უკრაინასთან რაიმე ზავის დადებაზე. ამჟამად მას უნდა, დაიპყროს რაც შეიძლება მეტი ტერიტორია, ვინაიდან ვერ ხედავს, სხვანაირად როგორ უნდა შეაჩეროს ომი. უკრაინის რაკეტების მიერ კრეისერ „მოსკვას“ განადგურების შემდეგ პუტინი იმდენად გაშმაგებული იყო, რომ უარყო წერილობითი შეთანხმების იდეა. პუტინს სჯერა იმ აბდაუბდის, რომელსაც რუსეთის ტელევიზიები გადმოსცემენ და ის მზადაა, იაროს დიადი გამარჯვებისკენ. გენერლები მოახსენებენ პუტინს იმას, რის გაგონებაც მას სურს, მისი ახლო გარემოცვა იმეორებს პროპაგანდისტულ სისულელეებს. პუტინი გაურბის შეხვედრას უკრაინის ლიდერ ზელენსკისთან. პუტინი მიანიშნებს, რომ ჯერ რუსეთის არმიამ ბევრი ტერიტორია უნდა დაიკავოს, რათა უპირატესობა ჰქონდეს მოლაპარაკებებზე.

რუსეთში ზოგიერთი წყარო შიშობს, რომ პუტინი მზადაა, უკრაინაში გამოიყენოს ტაქტიკური ბირთვული იარაღი, თუ რუსეთის ჯარი წარუმატებლობას ნახავს შემდგომი შეტევების დროს.

რუსეთში მოსახლეობისა და ექსპერტების დიდი რაოდენობა, პუტინის მსგავსად, იმპერიულად და აგრესიულადაა განწყობილი. ერთ-ერთი კომენტატორი, იური აპუხტინი, ღიად მსჯელობს უკრაინის სახელმწიფოებრიობის განადგურების აუცილებლობაზე, ასევე – რუსეთის „მოღალატეებზე“.

### „უკრაინა, როგორც სახელმწიფო, უნდა განადგურდეს“

აგრესიული პოლიტიკის იდეოლოგი აპუხტინი აღნიშნავს, რომ რუსეთის ლიბერალური ელიტის ნაწილი, მათ შორის, პრეზიდენტის გარემოცვაში, ცდილობს გაერთიანდეს დასავლეთის საზოგადოებაში პატივსაცემი პარტნიორების სახით. მათ უნდათ სპეცოპერაციის გაჩერება, დათმობაზე წასვლა და კიევის რეჟიმთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება. მისი გაგებით, ამგვარი მცდელობები დანაშაულებრივია, ვინაიდან ოპერაციის ნებისმიერი შეჩერება რუსოფობიური რეჟიმისა და პროდასავლური პლაცდარმის (უკრაინის ფსევდოსახელმწიფოს სახით) განადგურების გარეშე ნიშნავს რუსეთის დამარცხებას. მისი არსებობს შემთხვევაში, რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებზე რუსოფობიური რეჟიმის დაძლევა შეუძლებელია.

აპუხტინის აზრით, უკრაინა, როგორც სახელმწიფო, იურიდიულად ლიკვიდირებულ უნდა იქნეს. უნდა მოისპოს მისი აღორძინების საშუალებები. მოძალადე აპუხტინის დასკვნით, უკრაინის სახელმწიფოს გაუქმება მომგებიანია უკრაინის მოსახლეობისთვისაც, ვინაიდან იქმნება ვალების გადახდის თავიდან აცილების შესაძლებლობა.

უკრაინის ლიკვიდაციის მომხრე აცხადებს, რომ „გათავისუფლებული ტერიტორიების“ მოსახლეობასთან ამაზე ჩასატარებელია მუშაობა, განსასაზღვრია ამ ტერიტორიების სტატუსი. აპუხტინის თქმით, უკრაინის მოსახლეობას უნდა აუხსნან, რომ სპეცოპერაცია ჩატარდა იმიტომ, რომ მან დაუშვა რუსოფობიური სახელმწიფოსა და დასავლეთის პლაცდარმის შექმნა.

ამასობაში საერთაშორისო თანამეგობრობა აგრესორ რუსეთს უწესებს ახალ სანქციებს და განიხილავს მომავალი სანქციების შესაძლებლობას. ევროკავშირის სანქციების მეექვსე პაკეტის თაობაზე სრული თანხმობა ამ ეტაპზე არ არსებობს.

### კიდევ რა შეზღუდვებს უწესებენ რუსეთს?

ევროკავშირი აშშ-სთან შეთანხმებით განიხილავს რუსეთის ნავთობის იმპორტის შეზღუდვის სხვადასხვა ვარიანტს. ევროკავშირის ზოგიერთი სახელმწიფო შიშობს, რომ რუსული ნავთობის სრულმა აკრძალვამ შეიძლება გამოიწვიოს ნავთობის კიდევ უფრო გაძვირება, რაც კრემლს მეტ შემოსავალს მოუტანს, სხვებს კი დააზარალებს.

ბალტიის სამი სახელმწიფო შეთანხმდა, რომ სანქციები გაზისა და ნავთობის სფეროში უნდა გახდეს საკვანძო ელემენტი მომავალ სასანქციო პაკეტში.

– რუსეთის ეკონომიკა და კრემლის რეჟიმი ძალიან არის დამოკიდებული იმ ნაკადზე, რომელსაც იღებენ ნედლეულიდან, პირველ რიგში, ნავთობიდან და გაზიდან. ამ წყაროების შემცირება და გაქრობა არსებითად იმოქმედებს რუსეთის ეკონომიკასა და ომის დაფინანსების შესაძლებლობებზე, – აცხადებს ლიტვის პრემიერი ინგრიდა შიმონიტე.

– ვაგრძელებთ მუშაობას პარტნიორებთან რუსეთის ეკონომიკის იზოლაციის მისაღწევად, რათა მათ რაც შეიძლება ნაკლები ფული ჰქონდეთ ულმობელი სამხედრო მანქანის დასაფინანსებლად, – აღნიშნავს ლატვიის პრემიერი კრიშიანის კარიენშასი.

# ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სხდომა გაიმართა.

მინისტრთა კაბინეტმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 6 საკითხი განიხილა.

მთავრობის განკარგულებით, უეფას 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატის საქართველოში ღირსეულად ჩასატარებლად, „სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, თბილისში, საგურამოში, ქუთაისში, წყალტუბოში, ქობულეთსა და ბათუმში, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოწყობა იწყება.

პროგრამა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება და მისი სავარაუდო ღირებულება 100 მილიონი ლარია.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია როგორც სავარჯიშო მოედნების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, ისე ახალი სტადიონების პროექტირება-მშენებლობა.

ჩემპიონატისთვის, არსებულის გარდა, საერთო ჯამში, 12 ინფრასტრუქტურული ობიექტი მოეწყობა. სავარჯიშო მოედნები განთავსებულია თბილისში, საგურამოში, ქუთაისში, წყალტუბოში, ქობულეთსა და ბათუმში. პროგრამით გათვალისწინებული საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წელსვე დაიწყება. საქართველო უეფას 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატს 2023 წელს, 21 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით უმასპინძლებს.

მთავრობამ ასევე გამოსცა განკარგულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ, რომლის მიხედვით, 28 ფიზიკურ პირს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა და დაუკანონდება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ მაჩხაანში, მათსავე ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სახლები.

# ნიკა მელია: „სანქციების ჭურვები ბიძინა ივანიშვილთან სულ უფრო ახლოს ეცემა“



– ჩვენ ვხედავთ, რომ სანქციების ჭურვები ბიძინა ივანიშვილთან სულ უფრო და უფრო ახლოს ეცემა.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ ნიკა მელიამ გავრცელებულ აუდიოჩანაწერზე საუბრისას განაცხადა, სადაც „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი და რუსი ოლიგარქი, სისტემის დამფუძნებელი ვლადიმერ ევტუშენკოვი საუბრობენ.

მისივე თქმით, აუდიოჩანაწერი დამაჯერებელია ნებისმიერი ქართველისთვის.

– დიახაც, ჩანაწერი, რომელსაც ობიექტურად განწყობილი ვერცერთი ჭკუათმყოფელი მოქალაქე ვერ უარყოფს, არის იმის დასტური, რომ აშშ-ის, ევროპის ქვეყნების მიერ სანქცირებული ადამიანებთან ბიძინა ივანიშვილი არა უბრალოდ ურთიერთობს და წარმატებას უსურვებს უკრაინასთან ომში რუსეთის ფედერაციასა და პუტინის პირად წარმომადგენლებს, არამედ ამ ადამიანებთან არის ჩართული ბიზნესთვალსაზრისით და შოულობს ფულს.

ეს არის მორალური მხარე, რომელიც არის გასაკიცხი. ეს არის მორალური დაცემის მაგალითი ნებისმიერი ქართველისთვის, რომელსაც შემორჩენია ძალა და ენერგია ჰქონდეს ურთიერთობა იმ ადამიანებთან, რომლებიც მჭიდროდ არიან პუტინთან დაკავშირებული.

რატომ არის მსგავსი ჩანაწერი და საუბარი ძალიან დამაჯერებელი ყველასთვის?! პროცესში, რასაც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე ადევნებს თვალყურს, დიახაც, ასკვნის ლოგიკურად, რომ ეს ასე იქნება. დაწყებული 25 თებერვლიდან, როდესაც ღარიბაშვილი გმობდა უკრაინის მხარეს, მის თავდაცვის შესაძლებლობებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა და ამბობდა მეტსაც, რომ ამ ომით დაზარალდებოდა უკრაინა, როცა სანქციებს არ შეუერთდნენ, როცა გენოციდის აღიარების თაობაზე დღემდე არ მიუღიათ გადაწყვეტილება, როდესაც მთელი რიგი საპირისპირო ნაბიჯები გადაიდგა, ვიდრე თავისუფალი სამყარო დგამდა და ამ დროს საზოგადოება იგებს, რომ ბიძინა ივანიშვილი რუს ოლიგარქებთან მჭიდრო კავშირშია, ეს არის ძალიან დამაჯერებელი, – განაცხადა მელიამ.

ცნობისთვის, სოციალურ ქსელში „კიბერ კმარას“ მტკიცებით, „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილისა და რუსი ოლიგარქის, ვლადიმერ ევტუშენკოვის აუდიოჩანაწერი ვრცელდება.

სატელეფონო საუბრის მიხედვით, რომელიც მიმდინარე წლის 10 და 12 მარტით თარიღდება, ისინი თბილისში რუსი ბიზნესმენების შეხვედრაზე საუბრობენ.

ჩანაწერში ნახსენებია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სახელი, რომელზეც, სავარაუდოდ, ივანიშვილი ევტუშენკოვს ეუბნება, რომ მის მიერ გამოგზავნილ წარმომადგენელს სწორედ ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა.

აღნიშნულის საპასუხოდ, სავარაუდოდ, ევტუშენკოვი ივანიშვილს სთხოვს, რომ მის წარმომადგენელს თავად ის შეხვდეს.

# დავით ქართველიშვილი: „პრემიერის მიერ არჩეული კურსი გამიზნულია იმისკენ, რომ ქვეყანაში იყოს მშვიდობა“

ექსპერტი დავით ქართველიშვილი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ მთავრობის სხდომაზე გაჟღერებული ახალი ინიციატივების შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე ზრუნვა ძალიან მნიშვნელოვანია.

დავით ქართველიშვილის თქმით, პრემიერ-მინისტრის მიერ არჩეული კურსი ქვეყნის მშვიდობასა და სტაბილურობაზეა ორიენტირებული.

– მიმდინარეობს ზრუნვა იმ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, რომელთა შვილებზე სოციალური დახმარება ივნისიდან გასამმაგდება. პანდემიისა და ომისგან გამოწვეული კრიზისის პირობებში, ქართული ეკონომიკა მაინც ახერხებს და 200.000-ზე მეტ ბავშვს, რომლებიც ამ კატეგორიაში შედიან, პრაქტიკულად გასამმაგებულ ყოველთვიურ შემწეობას დაუნიშნავს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს დევნილებზე ზრუნვის გაგრძელება: 1. 000 დევნილი მიიღებს 2024 წლისთვის თავის საცხოვრებელ ფართს, რომელსაც ელოდებოდა ათეულობით წლების განმავლობაში. მათ არ გამოუჩნდათ წინა ხელისუფლების დროს არანაირი პატრონი, თუ არ ჩავთვლით იმ დამახინჯებულ გეტოებს, რომლებიც აუშენეს შიდა ქართლში.

გარდა ამისა, მიმდინარეობს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. არც ეს დავიწყებია ბატონ პრემიერ-მინისტრს და მიწასთან მუშაობის თვალსაზრისით ინვენტარის შესაძენად 300-ლარიანი ვაუჩერი დაერიცხება აგრობარათზე ყველა სოფლის მეურნეობით დაკავებულ ფერმერს და ისინი შეძლებენ, მიზნობრივად გამოიყენონ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საჩუქარი სახელმწიფოსგან.

რაც შეეხება განათლების სფეროს, აქ გამოყოფილია თანხები 800-ზე მეტი მოქმედი სკოლის გასარემონტებლად და ასევე 80 ახალი სკოლის მშენებლობისთვის. 90-ზე მეტი ბაგა-ბაღი აშენდება და 412 შეყვანილია უკვე იმ პროგრამაში, რომელმაც მისი განახლება და გარემონტება უნდა უზრუნველყოს.

პრემიერის მიერ არჩეული კურსი აშკარად გამიზნულია იმისკენ, რომ ქვეყანაში იყოს მშვიდობა, სტაბილურობა და ადამიანებმა არ იგრძნონ კრიზისების და მსოფლიო მასშტაბის რთული ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული შეფერხებები, – განაცხადა დავით ქართველიშვილმა.

# გია ვოლსკი: „მარგველაშვილის ნაცმოძრაობის თავმჯდომარედ დანიშვნას შეიძლება „კლოუნადა“ დავარქვა“

– თუ ეს ინფორმაცია ნამდვილია, ვფიქრობ, „კლოუნადა“ დავარქვა თუ რაღაც შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილება.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა, პარლამენტის ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციას, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, შესაძლოა, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე გახდეს.

ვოლსკის თქმით, ნაციონალურ მოძრაობას „კლოუნადა“ სჩვევია.

– რომელი ავირჩიო – შორსმჭვრეტელური ნამდვილად არაა, „კლოუნადა“ კი სჩვევიათ. მაგრამ მარგველაშვილისა და მელიას დაპირისპირების თემა ახალი ე.წ. სკანდალური ფორმულირებაა, რაც რაღაც დაზუსტებებს მოითხოვს, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ცნობისთვის, გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის პოსტი ნიკა მელიამ დატოვოს და მის ნაცვლად პარტიას საქართველოს მეოთხე პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა უხელმძღვანელოს.

# პაპუაშვილი გავრცელებულ აუდიოჩანაწერებს „ფეიკს“ უწოდებს

პარლამენტის თავმჯდომარე ივანიშვილსა და ვლადიმერ ევტუშენკოვს შორის გავრცელებულ სატელეფონო ჩანაწერს მონტაჟს უწოდებს.

პაპუაშვილის მტკიცებით, ქვეყანაში არეულობის შექმნასა და სახელმწიფოს შემდეგ ომში ჩართვას ოპოზიცია ცდილობს.

– ერთადერთი, რასაც ეს კამპანია ადასტურებს, არის ის, რომ მიმდინარეობს დეზინფორმაციული კამპანიას საქართველოს წინააღმდეგ. ვიზუალურადაც ვიხილეთ, როგორ მზადდება და როგორ ხდება დეზინფორმაციული კამპანიის გავრცელება.

ე.წ. ჩანაწერების ჩვენებით შეუიარაღებელი თვალითაც და ყურითაც ჩანს, რომ არის მონტაჟი. ვინ არიან ჩართული, როგორ ხდება ამ თემის აქტუალიზაცია შემდეგ ნაცმოძრაობის ტელევიზიების მიერ, შემდეგ ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის „სირცხვილიას“ მიერ ამის გატანა.

ჩვენ რაც ვიხილეთ, არის მაგალითი იმისა, როგორ ხდება ფალსიფიკაცია, როგორ ხდება შემდეგ ამ თემის აგორება და წარმოჩენა ისე, თითქოს რაღაც სკანდალებთან გვაქვს საქმე. ჩვენ მივუახლოვდით იმ მიზანს, რომელზეც ვსაუბრობთ, ეს არის არეულობა ქვეყანაში. ეს არის განცხადებული მიზანი, რომ ქვეყანაში არადემოკრატიული გზით მოხდეს ხელისუფლების შეცვლა და შემდეგ ომში ჩართვა.

არაფერი არ მიუთითებს იმაზე, რომ ჩანაწერი ავთენტურია, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

# შუხუთის ლელოში მონაწილე მამაკაცი გარდაიცვალა



მამაკაცი, რომელმაც შუხუთის ლელოში მიიღო მონაწილეობა, გარდაიცვალა.

ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

„გურია თუდეის“ ცნობით, ლანჩხუთის „მედალფას“ კლინიკასთან იმყოფებოდნენ გარდაცვლილის ახლობლები. ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია.

ადგილობრივის თქმით, მამაკაცი სახლში მისვლის შემდეგ გახდა შეუძლოდ და ახლობლებმა მსუბუქი ავტომობილით კლინიკაში გადაიყვანეს.

როგორც „პრაიმტაიმს“ კლინიკაში უთხრეს, შუა ხნის კაცი კლინიკაში მიყვანის მომენტში უკვე გარდაცვლილი იყო.

ლანჩხუთის სასწრაფო დახმარების ერთ-ერთი ბრიგადის მძღოლმა განაცხადა, რომ მათ ეს გამოძახება არ მიუღიათ და იმავე დროს „მედალფას“ კლინიკაში სხვა პაციენტი გადაჰყავდათ.

ასევე ცნობილია, რომ კიდევ ერთი დაშავებული მიხეილ ჩახავას სახელობის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს და მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

# მარტვილში პოლიციის უფროსის მოადგილის მანქანა მიცუბიშის დაეჯახა



მარტვილში, სოფელ ხუმწში, ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

შემთხვევა 25 აპრილს მოხდა. ერთმანეთს მარტვილის პოლიციის უფროსის მოადგილის მართვის ქვეშ მყოფი „მიცუბიშისა“და „მერსედესის“ მარკის ავტომანქანები შეეჯახნენ.

გარდაცვლილია „მერსედესში“ მყოფი მგზავრი.

ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

„საქართველოს პროკურატურამ მარტვილის რაიონის სოფელ ხუმწში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

24 აპრილს მარტვილის რაიონის სოფელ ხუმწში შინაგან საქმეთა სამინისტროს მარტვილის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილის დ.გ.-ს მართვის ქვეშ მყოფი „მიცუბიშის“ მარკის ავტომანქანის და ვ.ჯ.-ს მართვის ქვეშ მყოფი „მერსედესის“ მარკის ავტომანქანის შეჯახების შედეგად „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაში მყოფი მგზავრი გარდაიცვალა.

ასევე, ორივე ავტომანქანის მძღოლებმა ჯანმრთელობის დაზიანებები მიიღეს.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება“, – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

# კახეთში ავარიაში ცოლ-ქმარი დაიღუპა




„პრაიმტაიმისთვის“ კახეთში დატრიალებული ტრაგედიის დეტალები გახდა ცნობილი.

ავტოსაგზაო შემთხვევას, რომელიც 24 აპრილს სოფელ ტიბაანში მოხდა, ცოლ-ქმარი შალვა და ციური მოლაშვილები ემსხვერპლნენ.

დაშავებულია მათი 8 წლის შვილიშვილი, რომელიც ციციშვილის კლინიკაში გადაიყვანეს. კიდევ ერთი დაშავებული კი გარდაცვლილი ციური მოლაშვილის ასაკოვანი დედაა.

24 აპრილს სოფელ ტიბაანში შვილის საფლავიდან მანქანით მომავალ ცოლ-ქმარს სწრაფად მოძრავი ავტომობილი დაეჯახა და ორივე ადგილზე დაიღუპა.

# მანქანა ხაშურთან მიატოვეს

## ალექსი ნიადაგიშვილის მკვლელობისთვის 1 პირი დააკავეს

დაკავებულია მამაკაცი, რომელიც აღდგომის ღამეს სოფელ დირბში 22 წლის მამაკაცის მკვლელობის საქმის ფიგურანტია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ 29 წლის მამაკაცი დაკავებულია. მას საგამოძიებო უწყება სისხლის სამართლის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავება.

პოლიცია მკვლელობის საქმის ფიგურანტ კიდევ 3 პირს ეძებს. სოფელ დირბის მკვიდრთა ინფორმაციით, სწორედ 4-მა კაცმა დატოვა სუფრა აღდგომის ღამეს ავტომობილით, როცა მკვლელობა მოხდა.

ტვ პირველის ინფორმაციით, ახალგაზრდებმა ავტომობილი ხაშურის მისასვლელთან მიატოვეს და ფეხით გააგრძელეს მოძრაობა.

სოფელ დირბში მკვლელობა აღდგომის ღამეს მოხდა.




დაპირისპირება ახალგაზრდების ორ ჯგუფს შორის დაიწყო და 22 წლის ლექსო ნიადაგიშვილის მკვლელობით დასრულდა.

რუსთაველ ლექსო ნიადაგიშვილს მრავლობითი ჭრილობები ცივი იარაღით აქვს მიყენებული.

დაჭრილი ქარელის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

# სენაკში პოლიციელის ცემისთვის 3 პირი დააკავეს



სენაკში სამართალდამცველის ცემის ბრალდებით 3 ახალგაზრდა დააკავეს. ისინი სენაკის პოლიციაში დაკითხეს.

შემთხვევა 24 აპრილს დილით მოხდა. ფიზიკურ ძალადობას უარყოფს დაკავებულების ადვოკატი ლაშა ხოშტარია. მისი თქმით, პოლიციელი თავად მივიდა შეკრებილ ახალგაზრდებთან და მათ უცენზურო სიტყვებით მიმართა.

– არანაირ თავდასხმას არ ჰქონია ადგილი, თვითონ ტერმინი თავდასხმა არის აბსურდი და მსგავს ქმედებას ადგილი არ ჰქონია. შეკრებულ ახალგაზრდებთან თვითონ მივიდა ეს პოლიციელი. მიმართა მათ უცენზურო სიტყვებით. ფაქტობრივად იკვეთება, რომ პოლიციელის მხრიდან ჰქონდა პროვოცირებას ადგილი, – განაცხადა ლაშა ხოშტარიამ.

ფაქტზე გამოძიება 353-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს. არსებული ინფორმაციით, სამართალდამცველი ქუთაისის საპატრულო პოლიციის თანამშრომელია.

პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით დაკავებული 5 პირიდან ორი ფოთში, დროებითი მოთავსების იზოლატორშია გადაყვანილი. მათ ბრალი 25 აპრილს წარუდგინეს.

ადვოკატების განცხადებით, მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირები თავს დამნაშავედ არ ცნობენ.

– წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებენ, თავს არ ცნობენ დამნაშავედ და აბსოლუტურად, კატეგორიულად სხვა ვითარებაში აღწერენ მოვლენას, რაც პირდაპირ მიუთითებს პოლიციელის მხრიდან პროვოცირებას. ბილწსიტყვაობა მოდის პოლიციელისგან და შესაბამისად ახალგაზრდები ამაზე ადეკვატურად პასუხობენ, – განაცხადა ერთ-ერთი ბრალდებულის, გ.ჭ-ს ადვოკატმა ლაშა ხოშტარიამ.

რაც შეეხება მეორე ბრალდებულს, ის დუმილის უფლებას იყენებს.

„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებული გიორგი წულეისკირია. მას წარედგინა ბრალდება, სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, პოლიციელზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თავდასხმა. ის თავს დამნაშავედ არ ცნობს, არანაირი შემხებლობა ამ დანაშაულთან არ ჰქონია. ამ ეტაპისთვის დუმილის უფლებას იყენებს და სხვას ვერაფერს ვიტყვი“, – განაცხადა ადვოკატმა რომან მამულიამ.

# მართვის მოწმობის ასაღები გამოცდა 26 აპრილიდან ორეტაპიანი გახდა

## მისი ჩაბარება რეალურ მოძრაობაშია სავალდებულო

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, შსს-ს მომსახურების სააგენტო საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს ასრულებს – „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 26 აპრილიდან, „ბე“ და „ბიე“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი გახდა.

უწყების ინფორმაციით, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მიღების მსურველები პრაქტიკული გამოცდის ახალი სტანდარტით ჩაბარებას მომსახურების სააგენტოს 9 სტრუქტურულ ერთეულში შეძლებენ. თუმცა ამ ეტაპზე, მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის სამსახურში, ქალაქში გზებზე მიმდინარე მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, კანდიდატები მართვის უფლების მისაღები გამოცდის მეორე ეტაპის ჩაბარებას შესაბამისი სამუშაოების დასრულებამდე ვერ შეძლებენ.

მათივე ცნობით, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საგამოცდო მარშრუტების შესაბამისად ჩატარდება. თითოეული საგამოცდო სამსახურისთვის რამდენიმე საგამოცდო მარშრუტი არის შემუშავებული.

„ცვლილებების მიხედვით, პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი დახურულ მოედანზე ჩატარდება, ხოლო მეორე ეტაპი – რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში.

მძღოლობის კანდიდატს უფლება აქვს, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარებიდან 365 კალენდარული დღის განმავლობაში გავიდეს. ამასთანავე, დაინტერესებული პირი პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე პირველი ეტაპის წარმატებით




ჩაბარებიდან არაუადრეს 15 დღისა დაიშვება. ასევე, მძღოლობის კანდიდატს საშუალება ექნება, დაჩქარებული მომსახურებით ისარგებლოს, რომლის ღირებულება 160 ლარით განისაზღვრება და პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მეორე ეტაპზე 15 დღეზე ადრე გავიდეს.

პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის გამოცდაზე გასასვლელად საჭიროა, დაინტერესებულმა პირმა რიგი დაჯავშნოს. რიგის დაჯავშნა შესაძლებელია როგორც სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულში, ასევე, სააგენტოს ვებგვერდის, მობილური აპლიკაციის ან სწრაფი გადახდის ტერმინალის საშუალებით. მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე რიგის ჯავშნით გათვალისწინებულ დრომდე 15 წუთით ადრე გამოცხადდეს“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# დადიანზე მანქანა შეეჯახა მოტოციკლს, რომელსაც გოგონა მართავდა

ნაძალადევის რაიონში, დადიანის გამზირზე, მსუბუქი ავტომობილი მოტოციკლს შეეჯახა.

როგორც თვითმხილველმა „პრაიმტაიმს“ უამბო, გოგონა, რომელიც მოტოციკლს მართავდა, შეჯახებისას ყვიროდა და შველას ითხოვდა.

– საშინლად კიოდა გოგო. მისმა განწირულმა ხმამ მთელი ქუჩა შეძრა. ის მოტოციკლს მართავდა. მას მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა, რომელსაც ტაქსის ნიშანი ჰქონდა დამაგრებული. ადგილზე მალევე სასწრაფო დახმარების ბრიგადა და საპატრულო პოლიცია მოვიდნენ, – ამბობს თვითმხილველი.

# 50 წლის მასწავლებელი 13 წლის მოწაფისადმი სექსუალური ბრალდებისთვის დააკავეს

სექსუალური ძალადობის ბრალდებით დაკავებულია მასწავლებელი.

სავარაუდო დანაშაული რამდენიმე კვირის წინ შიდა ქართლში მოხდა. 50 წლის მამაკაცს, ინფორმატიკის მასწავლებელს, 13 წლის მოსწავლის მიმართ გარყვნილ ქმედებას ედავებიან.



დაზარალებული პოლიციას უყვება, რომ სექსუალური ძალადობა სხვა მოსწავლეების თანდასწრებით გაკვეთილზე დაიწყო.

ბავშვთან ახლა ფსიქოლოგები მუშაობენ.

ფაქტს უარყოფენ სკოლაში და ამბობენ, რომ მოსწავლემ მასწავლებელს ძალადობა დააბრალა:

– მივიდა, უნდა აეხსნა და მხარზე დაადო ხელიო და, ეტყობა, დახრილი რომ იყო, თმა ეფარებოდა და თმა გადაუწევია მასწავლებელს და ამ ბავშვმა ერთი ამბავი ატეხა. ძალადობა იყოო, მაგრამ ძალადობა როგორ იქნებოდა, სხვა ბავშვებიც იყვნენ, ალბათ რაღაც ინტერესი ჰქონდა.

ბრალდებებს უარყოფენ ასევე მასწავლებლის ოჯახის წევრები.

# რუსთავში, მე-11 მიკრორაიონში, ხანძარი იყო

რუსთავში, მე-11 მიკრორაიონში, ხანძარი იყო.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ცეცხლი მე-7 სართულზე ერთ-ერთ ბინაში გაჩნდა.

ხანძრის გაჩენის დროს სახლში არავინ იმყოფებოდა და ცეცხლი მეზობლებმა შენიშნეს, რის შესახებაც 112-ს აცნობეს.

ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო, სამართალდამცავთა და სასწრაფო-სამედიცინო სამსახურების ეკიპაჟები.

ძლიერი დაკვამლიანების გამო კორპუსს ელექტროენერგიის გაეთიშა.

ამ დროისთვის უცნობია, რა გახდა ცეცხლის გაჩენის მიზეზი, თუმცა, მეზობლების ვარაუდით, ხანძარი ელექტროსადენებმა გამოიწვია.

შემთხვევის დროს არავინ დაშავდა.

# რუსთავში სასაფლაოზე პირუტყვი გადადის

– პირუტყვები გადმოდიან სასაფლაოებზე, ძირითადად ძროხები. ეს ბუშმალა მოწამლულია, მაგრამ მაინც მოდის და ჭამს. ამიტომ მაქვს შემოღობილი. სავსეა ეს ტერიტორია, ხან ძროხაა და ხან ძაღლი.

ამის შესახებ „ინფო რუსთავს“ მუნიციპალურ სასაფლაოზე ერთ-ერთმა რუსთაველმა განუცხადა, რომელიც ოჯახის წევრის საფლავს აწესრიგებდა.

მისი თქმით, სასაფლაოს ტერიტორიაზე ოთხფეხა ცხოველები დიდი პრობლემაა. ძირითადად საუბარია მსხვილ რქოსან საქონელზე, რომლებიც სასაფლაოზე არსებულ მწვანე ნარგავებს თელავენ და ანადგურებენ.

საკითხთან დაკავშირებით სარიტუალო მომსახურე შპს „გემას“ დირექტორ მამუკა თევდორაშვილს ესაუბრნენ. მისი თქმით, „ცხოველთა მონიტორინგის“ სამსახურთან ერთად ებრძვიან აღნიშნულ პრობლემას და ხდება ჯარიმის გამოწერები.



– ურთიერთმოლაპარაკება გვაქვს ცხოველთა მონიტორინგის სამსახურთან და ერთობლივად ვებრძვით, წერენ ჯარიმებს. რაც სისტემატიურად დავიწყეთ მუშაობა და ჯარიმების წერა იმდენად აღარ ხდება, – განაცხადა თევდორაშვილმა.

რუსთაველების ნაწილი ასევე საუბრობს სასაფლაოს ტერიტორიაზე მოუწესრიგებელ საგზაო ინფრასტრუქტურასა და ელექტროენერგიის არარსებობაზე.

მათი თქმით, უამინდობის დროს საფლავებზე მისვლა თითქმის შეუძლებელია.

# დენის შმიგალი: „36 წლის შემდეგ მსოფლიო „ბირთვული ტერორის“ წინაშე დადგა“



– მრავალი წლის გასვლის შემდეგაც კი ადამიანები ხედავენ, რომ საბჭოთა კავშირის მეთოდები, რომლებიც ათვისებულია რუსეთის მიერ, საფრთხეს უქმნის ირგვლივ ყველას.

ამის შესახებ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი კატასტროფის 36 წლისთავთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნა.

პრემიერის თქმით, 36 წლის შემდეგ მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე დადგა – რუსი სამხედროების მიერ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აღებისა და შემდგომი „ბირთვული ტერორის“ წინაშე.

– ტყვეობაში ყოფნის დროს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის თანამშრომლებმა მიყოლებით 600 საათი იმუშავეს. უმცირეს შეცდომასაც კი შეიძლება ახალ ტრაგედიამდე მივეყვანეთ. დიდი მადლობა ყველა თანამშრომელს, რომლებიც, მიუხედავად ყველაფრისა, იდგნენ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სადარაჯოზე და ამის კეთებას აგრძელებენ იარაღის მუქარის ქვეშ ოკუპანტების მიერ აღებულ ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზეც. ჩვენ თითოეულის გმირობა გვახსოვს, – განაცხადა შმიგალმა.

უკრაინის მთავრობის მეთაურის თქმით, მტერი აუცილებლად დაისჯება იმ საფრთხის გამო, რომელიც მან ჩერნობილის ატომურ სადგურზე შექმნა.

შმიგალმა ასევე დაამატა, რომ უკრაინა გააგრძელებს მსოფლიოში ბირთვული უსაფრთხოების დაცვას.

– ასეთი კატასტროფის თავიდან აცილება ჩვენი მორალური მოვალეობაა, – აღნიშნა მან.

პრემიერმა გაიხსენა, რომ 36 წლის წინ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ტრაგედიის შედეგები მართლაც შემზარავი იყო და მთელ ევროპას შეეხო.

მისი თქმით, მაშინ დაახლოებით 5 მილიონი ადამიანი დაზარალდა. ათასობით მაშველმა საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად არ დაუშვა, რომ კატასტროფა კიდევ უფრო დიდ მასშტაბებში გადაზრდილიყო.

შმიგალის შეფასებით, ასეთი იყო სრული დუმილის ფასი საბჭოთა ხელისუფლების ელიტაში.

# სერგეი ლავროვი: „ბირთვული ომის საფრთხე სერიოზული და რეალურია“



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ ბირთვული ომის საფრთხე სერიოზული და რეალურია.

ამის შესახებ მან რუსეთის პირველი არხის ეთერში განაცხადა.

– საფრთხე სერიოზულია. ის რეალურია და არ შეიძლება მისი არასათანადოდ შეფასება. მე არ ვისურვებდი, რომ ახლა, როდესაც რისკები მართლაც ძალზე არსებითია, ხელოვნურად გაიზარდოს. ამის მსურველი კი ცოტა არ არის, – აღნიშნა ლავროვმა.

# რუსულმა ძალებმა ზაპოროჟიეზე შეტევა განახორციელეს



ზაპოროჟიეში 26 აპრილს, დილით, რუსულმა ძალებმა სამი თავდასხმა განახორციელეს.

ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ზაპოროჟიეს ოლქის სამხედრო ადმინისტრაციაზე დაყრდნობით ავრცელებს.

გარემოებები ზუსტდება და დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

რუსეთის ფედერაციის სამხედროებმა ფრონტის ხაზის ერთ-ერთ მონაკვეთზე დიდი რაოდენობით ტექნიკისა და პერსონალის მობილიზება განახორციელეს და ზაპოროჟიეს მიმართულებით წინსვლას ცდილობენ.

# თურქეთის სასამართლომ ოსმან კავალას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა



თურქეთის სასამართლომ აქტივისტსა და ფილანთროპს ოსმან კავალას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

თურქეთის სასამართლომ კავალა დამნაშავედ ცნო 2013 წლის საპროტესტო გამოსვლების დაფინანსებასა და 2016 წელს მთავრობის დამხობის მცდელობაში მონაწილეობაში.

თურქეთის საერთაშორისო მოკავშირეები კავალას საქმეს პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევენ.

თურქეთის გადაწყვეტილებას შეერთებული შტატები გამოეხმაურა და განაცხადა, რომ კავალას მიმართ გამოტანილი განაჩენი უსამართლოა.

– მის მიმართ გამოტანილი უსამართლო განაჩენი არ შეესაბამება ადამიანის უფლებების, ფუნდამენტური თავისუფლებებისა და კანონის უზენაესობის პატივისცემას, – ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

ოსმან კავალა უკვე ოთხ წელზე მეტია, პატიმრობაში იმყოფება.

ის ბრალდებებს უარყოფს.

# კიევში ღამის „კომენდანტის საათი“ ამოქმედდა



კიევში რუსეთის პროვოკაციული ქმედებების გამო ორშაბათიდან პარასკევამდე ღამის „კომენდანტის საათი“ იმოქმედებს.

ამის შესახებ კიევის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრ პავლიუკმა განაცხადა.

მისი თქმით, „კომენდანტის საათი“ საღამოს 10 საათიდან დილის 5 საათამდე იმოქმედებს.

– შეგახსენებთ, რომ „კომენდანტის საათის“ დროს აკრძალულია ქუჩასა და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნა, ტრანსპორტით ან ფეხით გადაადგილება, – განაცხადა პავლიუკმა.

მისი თქმით, „კომენდანტის საათის“ დროს გადაადგილების უფლება აქვთ მხოლოდ კრიტიკული ინფრასტრუქტურის სამუშაოებში ჩართულ პირებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია იწყება



სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნოღაში მდებარე მძიმე მდგომარეობაში მყოფი აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმის შენობის რეაბილიტაცია იწყება.

ქართველი ფილოლოგისა და ენათმეცნიერის აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმი მეცნიერის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით 1987 წელს გაიხსნა და, სავარაუდოდ, ამავე პერიოდში უნდა იყოს აშენებული. დღეის მდგომარეობით, შენობა დაზიანებულია. სამუზეუმო ნივთები შენობიდან დროებით გატანილია. როგორც ექსტერიერში, ასევე ინტერიერში ამორტიზებულია ხის ელემენტები, დაზიანებულია აივნის ბაქანი, რიკულები და შესასვლელი კიბე, იატაკი, ასევე დაზიანებულია მონოლითური სვეტები.

საპროექტო დოკუმენტაციაზე მუშაობის დასრულების შემდეგ შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება და ეზოს ტერიტორიაც მოწესრიგდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



# გაგა კირკიტაძე: „იმედია, გაგრა საკუთარ ქალაქში დაბრუნდება“



ეროვნული ლიგის პირველი წრე დასრულდა. 9 ტურის შემდეგ გაგრამ 11 ქულა მოაგროვა: 3 თამაში მოიგო, 2 ფრედ დაასრულა, 4 წააგო და სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზეა.

საინტერესოა, რომ კლუბმა დაამარცხა მხოლოდ თბილისური გუნდები – ლოკომოტივი, საბურთალო და დინამო.

ეს წარმატება გაგრას ახალგაზრდა მწვრთნელს, გაგა კირკიტაძეს უკავშირდება, რომელიც გუნდს რამდენიმე წლის წინათ ჩაუდგა და ამ ხნის განმავლობაში, ჩვენი ქვეყნის თასის მოგება მოახერხა, ითამაშა ევროტურნირზე და გუნდი ლიგა 2-დან ეროვნულ ლიგაში დააწინაურა.

მსგავსი შედეგით საქართველოში ბევრი გამოცდილი სპეციალისტი ვერ დაიკვეხნის.

**გაგა კირკიტაძე:**

– ვფიქრობ, პირველი წრის შეხვედრები ურიგოდ არ ჩაგვიტარებია. ჩემპიონატის დაწყებამდე, სიმართლე გითხრათ, ხმამაღალი ამბიციები არ გვქონია. წლევანდელ სეზონში ჩვენი გუნდი ეროვნულ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს, მიიღებს საჭირო გამოცდილებას და შემდეგ შევხედავთ, რა შესაძლებლობები გვექნება კლუბის უფრო მეტად განვითარებისთვის.

***– გუნდმა სეზონი აქტიურად დაიწყო, პირველ 4 ტურში 7 ქულა მოაგროვა, მომდევნო 5 შეხვედრაში კი – 4. რა არის ამის მიზეზი?***

– მართალია, პირველ ტურებში თამაშის რიტმში კარგად ჩავსხედით, ბევრი რამ გამოგვდიოდა. შემდეგ იყო სანაკრებო პაუზა, უამინდობით გამოწვეული გადადებული თამაში და ამან ერთობლიობაში რიტმიდან ამოგვაგდო.

***– თამაშის ხარისხზე იმოქმედა?***

– ამთავითვე გეტყვით, რომ ჩვენი გუნდი ყველა თამაშზე მოსაგებად გადის. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ჩვენი მეტოქე. ვცდილობთ, მაქსიმალურად დავიხარჯოთ. ხან გამოგვდის, ხან არა. ეს ფეხბურთია. თამაში ყოველთვის ისე არ ვითარდება, როგორც გვსურს. ბევრი კარგი თამაში ჩავატარეთ, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ.

***– წაგებულ თამაშებსაც გულისხმობთ?***

– კი ბატონო. მაგალითად, ქუთაისის ტორპედოსთან ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ 0:2 წავაგეთ. იმ შეხვედრაში იყო მომენტი, როცა მინდორზე აბსოლუტურად ვდომინირებდით. 3-წუთიანი მონაკვეთი გვქონდა, როცა რამდენიმეჯერ შეგვეძლო გატანა, მაგრამ მეტოქემ კონტრიერიში წამოიღო და გოლი გაგვიტანა. ფეხბურთი პატარა დეტალებისგან შედგება. ეს დეტალები იმ მატჩში ჩვენ სასარგებლოდ არ მოქმედებდა.

***– თელავთან თამაშიც შეგვიძლია გავიხსენოთ?***

– თელავთან დასანანი მატჩი (2:2), სადაც 2 ისეთი გოლი გავუშვით, რომლებიც არ უნდა გაგვეშვა, ბევრი გასატანი კი, ვერ გავიტანეთ. ჩავარდნა ყველა გუნდს ემართება. მთავარია, ამ ჩავარდნის პერიოდიდან უფრო ძლიერები გამოვიდეთ. ჩვენი სისტემა მუშაობს. ყველა მეტოქე ნანახი გვყავს. ვიცით მათი შესაძლებლობები და მე-2 წრიდან შევეცდებით, მათ წინააღმდეგ უფრო ეფექტურად ვითამაშოთ, საგოლე მომენტების რეალიზაციის პროცენტი გავაუმჯობესოთ.

***– ეროვნული ლიგის ყველა გუნდი უშუალოდ გამოვცადეთ. რომელმა გუნდმა დატოვა თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება?***

– რამდენიმე გუნდია, რომლებიც წელს მედლებისთვის იბრძოლებენ, მაგრამ სადღეისო მდგომარეობით, ვფიქრობ, ბათუმის დინამო სულ სხვა საფეხურზე დგას.

***– სეზონის წინ გაგრამ შევსება მიიღო. რამდენად მოერგნენ ეს ფეხბურთელები გუნდის სათამაშო სტილს?***

– გუნდში მოვიდნენ გამოცდილი ფეხბურთელები. მათი ნაწილი

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## შედეგები

**25 აპრილი**

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

კრ.პალასი-ლიდსი ............................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 33 | 25 | 5 | 3 | 80-21 | 80 |
| 2.ლივერპული | 33 | 24 | 7 | 2 | 85-22 | 79 |
| 3.ჩელსი | 32 | 19 | 8 | 5 | 67-27 | 65 |
| 4.არსენალი | 33 | 19 | 3 | 11 | 52-40 | 60 |
| 5.ტოტენჰემი | 33 | 18 | 4 | 11 | 56-38 | 58 |
| 6.მანჩესტერი | 34 | 15 | 9 | 10 | 53-51 | 54 |
| 7.ვესტ ჰემი | 34 | 15 | 7 | 12 | 52-44 | 52 |
| 8.ვულვზი | 33 | 15 | 4 | 14 | 33-29 | 49 |
| 9.ნიუკასლი | 34 | 11 | 10 | 13 | 40-55 | 43 |
| 10.ლესტერი | 32 | 11 | 9 | 12 | 47-51 | 42 |
| 11.ბრაიტონი | 34 | 9 | 14 | 11 | 31-42 | 41 |
| 12.ბრენტფორდი | 34 | 11 | 7 | 16 | 41-49 | 40 |
| 13.საუთჰემპტონი | 34 | 9 | 13 | 12 | 40-56 | 40 |
| 14.კრ.პალასი | 33 | 8 | 14 | 11 | 43-41 | 38 |
| 15.ასტონ ვილა | 32 | 11 | 4 | 17 | 42-46 | 37 |
| 16.ლიდსი | 33 | 8 | 10 | 15 | 38-68 | 34 |
| 17.ბარნლი | 33 | 6 | 13 | 14 | 29-45 | 31 |
| 18.ევერტონი | 32 | 8 | 5 | 19 | 34-55 | 29 |
| 19.უოტფორდი | 33 | 6 | 4 | 23 | 31-67 | 22 |
| 20.ნორვიჩი | 33 | 5 | 6 | 22 | 22-69 | 21 |

### იტალია. სერია ა

სასუოლო-იუვენტუსი ..................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 34 | 22 | 8 | 4 | 60-30 | 74 |
| 2.ინტერი | 33 | 21 | 9 | 3 | 71-26 | 72 |
| 3.ნაპოლი | 34 | 20 | 7 | 7 | 61-30 | 67 |
| 4.იუვენტუსი | 34 | 19 | 9 | 6 | 52-30 | 66 |
| 5.რომა | 34 | 17 | 7 | 10 | 55-40 | 58 |
| 6.ლაციო | 34 | 16 | 8 | 10 | 66-50 | 56 |
| 7.ფიორენტინა | 33 | 17 | 5 | 11 | 54-42 | 56 |
| 8.ატალანტა | 33 | 15 | 9 | 9 | 57-39 | 54 |
| 9.ვერონა | 34 | 13 | 10 | 11 | 59-51 | 49 |
| 10.სასუოლო | 34 | 12 | 10 | 12 | 59-55 | 46 |
| 11.ტორინო | 33 | 11 | 10 | 12 | 38-32 | 43 |
| 12.უდინეზე | 33 | 9 | 13 | 11 | 49-52 | 40 |
| 13.ბოლონია | 33 | 10 | 9 | 14 | 37-47 | 39 |
| 14.ემპოლი | 34 | 9 | 10 | 15 | 45-62 | 37 |
| 15.სპეცია | 34 | 9 | 6 | 19 | 34-59 | 33 |
| 16.სამპდორია | 34 | 8 | 6 | 20 | 41-57 | 30 |
| 17.კალიარი | 34 | 6 | 10 | 18 | 31-62 | 28 |
| 18.ჯენოა | 34 | 3 | 16 | 15 | 25-54 | 25 |
| 19.სალერნიტანა | 33 | 6 | 7 | 20 | 28-70 | 24 |
| 20.ვენეცია | 33 | 5 | 7 | 21 | 27-61 | 22 |

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბრაგა-პორტუ ..................................... 1:0
ბოავიშტა-სპორტინგი ........................ 0:3

### თურქეთი. სუპერლიგა

ბეშიქთაში-ქაშიმფაშა ........................ 0:3
სივასი-ალანია ................................... 1:0

### დანია. სუპერლიგა

ბრონდბიუ-მიდტიულანდი ............. 1:3

### შვედეთი. ალსვენსკა

ვერმანო-დაგერფორსი .................... 2:0
სირიუსი-ჰამარბი ............................. 0:3
ელფსბორგი-სუნდსვალი ................ 3:1
მალმიო-გიოტებორგი ....................... 1:0

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

პრესტონი-ბლექბერნი ...................... 1:4

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალმერია-ხიხონი ................................ 1:0

### იტალია. სერია ბ

ასკოლი-ჩიტადელა ........................... 0:0
ალესანდრია-რეჯინა ........................ 0:0
კოზენცა-პორდენონე ....................... 3:1
კროტონე-კრემონეზე ...................... 3:1
ლეჩე-პიზა ......................................... 2:0
ფეროზინონე-მონცა ......................... 4:1
ბენევენტო-ტერნანა ......................... 1:2
ბრეშა-სპალი ..................................... 1:1
კომო-ვიჩენცა ................................... 0:2
პერუჯა-პარმა ................................... 2:1

### საფრანგეთი. ლიგა 2

ტულუზა-ნიორი ................................ 2:0

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# ვარლამ ლიპარტელიანი ევროპის ჩემპიონატის ფავორიტია



29 აპრილიდან 1 მაისამდე ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება. საქართველოდან ბალკანეთს 11 ქართველი ძიუდოისტი ეწვევა – კაცებში 9 მონაწილე გვეყოლება, ხოლო ქალებში – 2.

ევროპის ძიუდოს კავშირმა 100 კგ-მდე წონითი კატეგორია შეაფასა და ყურადღება საქართველოს ნაკრების კაპიტან ვარლამ ლიპარტელიანზე გაამახვილა, რომელმაც კარიერის დასრულება ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მერე გადაიფიქრა. იქვე ახალგაზრდა ილია სულამანიძეზეც მოიხსენიეს, რომელიც ამომავალ ვარსკვლავად ითვლება.

– გავრცელებული ხმების მიუხედავად, ვარლამ ლიპარტელიანს დიდი ძიუდო არ მიუტოვებია. ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ მის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული განცხადება შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ კარიერას მართლაც ასრულებდა, მაგრამ, შემდეგ, ბუნდესლიგასა და ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე გამოჩნდა. ვარლამს ევროპირველობა 3-ჯერ აქვს მოგებული და ყოველთვის აღფრთოვანებით სარგებლობდა როგორც ტატამზე, ასევე – მის მიღმა. ახლა, მომავალ ევროპის ჩემპიონატზე ვნახავთ, კიდევ რის ამოღება შეუძლია კიმონოს სახელოებიდან.

საქართველოს ნაკრებში ლიპარტელიანის თანაგუნდელი ილია სულამანიძე ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ტალანტია, რომელზეც ბევრს საუბრობენ. მხოლოდ 20 წლისაა და უკვე მოგებული აქვს ევროტიტულები იუნორებსა და 23-წლამდელებში, მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე კი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. სხვათა შორის, მაშინ მე-2 ბრინჯაო ლიპარტელიანს ერგო.

ვებგვერდი წონის სხვა ფავორიტებზეც წერს და პირველ რიგში მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონ ჟორჟე ფონსეკას (პორტუგალია) ახსენებს. ახალ წონაში დამკვიდრებას ეცდება ესპანეთის სახელით მოასპარეზე ნიკოლოზ შერაზადიშვილი, კარგი შანსი ექნებათ სერბ ალექსანდარ კუკოლს, ნიდერლანდელებს – მიკაელ კორელსა და სიმეონ კატარინასაც. ევროპის ძიუდოს კავშირი ასევე გამოარჩევს კუბელ ესლი გონსალესს, რომელმაც რუმინეთის მოქალაქეობა მიიღო და ევროპირველობის მოგების შანსი პირველად ექნება.

# გოგა ბითაძე ნბა-მ გამოარჩია



ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ვებგვერდმა რეგულარული სეზონის დასრულების შემდეგ ინდიანა პეისერსის კალათბურთელები სათითაოდ განიხილა. დადგა ქართველი ცენტრის გოგა ბითაძის დრო და დადებითად დაახასიათა.

აი, რა წერია სტატიაში:

– გოგა ბითაძის მიერ ინდიანაში გატარებულ პერიოდს სიტყვა „შანსი“ შეესაბამება. საწყისი 3 სეზონის მანძილზე 2019 წლის დრაფტის მე-18 ნომერი დომანტას საბონისისა და მაილს ტერნერის უკან იყო გაჭედილი. შესაბამისად, ბითაძეს სათამაშო დრო თითქმის არ ეძლეოდა. ყველაფერი 2021-22 წლების სეზონის მე-2 ნახევარში შეიცვალა – ინდიანამ საბონისი საკრამენტოში გაუშვა, ტერნერი კი გუნდს ტრავმის გამო ვერ ეხმარებოდა. შედეგად, გოგამ სტაბილური სათამაშო დრო მიიღო და 22 წლის ქართველმა ეს შანსი შესანიშნავად გამოიყენა.

ჯანმრთელობის პრობლემების მიუხედავად, ბითაძემ სეზონი შესანიშნავად ჩაამთავრა. ქართველი რეგულარულში საშუალოდ 7 ქულასა და 3.5 მოხსნას აგროვებდა, მაგრამ ეს მისი პროდუქტიულობის ზუსტი მაჩვენებელი არ არის.

საბონისისა და ტერნერის დროს ბითაძეს თავის გამოჩენის საშუალება არ ეძლეოდა და 43 შეხვედრაში 10 წუთზე მეტი დრო მხოლოდ 7 მატჩში დაუთმეს. ინდიანელთა მაღლების ტრავმებმა გოგას პირველი სერიოზული შანსი 2021 წლის დასაწყისში მისცა: 17 იანვარს კლიპერსის წინააღმდეგ სათადარიგოთა სკამიდან 17 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა; 20 იანვარს სასტარტო ხუთეულში გამოვიდა და გოლდენ სტეიტთან 13 ქულა, 9 მოხსნა და 5 პასი მიითვალა. მომდევნო შეხვედრაში ფინიქსის წინააღმდეგ გოგამ უკვე ორმაგი დუბლი ჩაიწერა;

ბითაძემ მარჯვენა ფეხის ტრავმის მიღებამდე გამართული ბოლო 6 მატჩიდან 5-ში მინიმუმ 10 ქულა დააგროვა. ეს დაზიანება მთელი სეზონის განმავლობაში აწუხებდა და 14 შეხვედრის გამოტოვება მოუწია. გოგამ ტრავმითაც ბევრჯერ ითამაშა და ყველაფერი გააკეთა, რათა საკუთარი თავი ყველასთვის დაენახვებინა. რეგულარულის დასრულების შემდეგ, ბითაძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ნერვის დაზიანება ჰქონდა და ტკივილი დღითიდღე ძლიერდებოდა, მაგრამ, თუ ტკივილი აუტანელი არ იყო, მაინც ახერხებდა თამაშს. გოგამ სეზონი ისე ჩაამთავრა, ვერ იტყოდით, რომ ტრავმა აწუხებდა. 6 მარტიდან პირველ აპრილამდე, 10-ქულიანი ნიშნული ზედიზედ 10 შეხვედრაში გადალახა და საშუალოდ 15.8 ქულას, 6.5 მოხსნასა და 1.4 დაფარებას აგროვებდა. ამ პერიოდში ბითაძე პარკეტიდან 60.4%-ით უტევდა, ხოლო პერიმეტრიდან – 43.3%-ით.

6 მარტს ვაშინგტონის წინააღმდეგ გოგამ 20 ქულა დააგროვა და 7-დან 7 ბურთი ჩააგდო, 23 მარტს საკრამენტოსთან – 20 ქულა და 9 მოხსნა. 18 მარტს, საუკეთესო მატჩი ჩაატარა და ჰიუსტონის წინააღმდეგ 23 ქულა მიითვალა, რასაც 9 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა და დაფარება დაუმატა. ამასთან, გადამწყვეტ მომენტებში იყოჩაღა: 1:05 წუთით ადრე ჩატენვით ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 19.2 წამით ადრე გუნდი წინ გაიყვანა.

ბითაძის ერთ-ერთი პლუსი გახლავთ ის, რომ მას მეტოქის დაცვის გაწელვა შეუძლია. მაღალი კალათბურთელისთვის კარგი სროლა აქვს, მაგრამ ნბას კარიერის პირველ ეტაპზე ამის დამტკიცება ვერ მოახერხა. საწყის 2 სეზონში პერიმეტრიდან 23.1 პროცენტით უტევდა და 2021-22 წლების რეგულარული 40-დან 6 ჩაგდებული სამიანით დაიწყო. გოგა ბურთს ყოველთვის კარგად ხსნიდა, თებერვლის შემდეგ უკვე სხვა შესაძლებლობები გვაჩვენა, რომლებიც სკაუტებმა მასში დაინახეს. გოგამ ნასროლი სამიანების 42.5% ჩააგდო. გოგა ცენტრია, მაგრამ სეზონის სტარტზე მძიმე ფორვარდის პოზიციაზეც იასპარეზა. რიკ კარლაილი ერთ ხანს საბონისის გვერდით ათამაშებდა და ინდიანა წარმატებას აღწევდა, რის წყალობითაც, შესაძლოა, მომდევნო სეზონში გოგა მაილს ტერნერის ან აიზეია ჯექსონის მხარდამხარ ვიხილოთ. ბითაძე ახალწვეულის კონტრაქტის ბოლო წელს უახლოვდება და დატვირთული ზაფხული ექნება. როგორც იქნა, პაუზას აიღებს, რათა ფეხის ტრავმა ბოლომდე მოიშუშოს და შემდეგ, საქართველოს ნაკრების რიგებში 2 დიდ ტურნირზე იასპარეზებს. პირველი მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპია, რასაც ევრობასკეტი მოჰყვება, რომელზეც საქართველო ერთ-ერთი მასპინძელი გახლავთ. თუ ამ ტურნირებზე გოგამ ისე ითამაშა, როგორც ნბას სეზონი ჩაამთავრა, საერთაშორისო ასპარეზზე დიდ ყურადღებას მიიპყრობს და მომდევნო სეზონისთვის გამართულ სავარჯიშო კემპს კარგი განწყობითა და ფორმით შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ გასულ რეგულარულში გოგამ მონაწილეობა 50 შეხვედრაში მიიღო და საშუალოდ 7 ქულას, 3.5 მოხსნას, 1.1 ასისტს, 0.8 დაფარებასა და 0.4 ასისტს აგროვებდა.

# გაგა კირკიტაძე: „იმედია, გაგრა საკუთარ ქალაქში დაბრუნდება“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

გაგრაში ადრეც თამაშობდა. მაგალითად, ბექა ქურდაძე, შეიძლება ითქვას, დავიბრუნეთ. ვიცით მისი შესაძლებლობები და გვეიმედება. ყველა ფეხბურთელს, რომლებიც დაგვემატნენ, თავისი განსაკუთრებული ფუნქცია აქვს. მათი მოსვლით გუნდის თამაში დაბალანსდა. გაჩნდა კონკურენცია, რაც დადებითი მოვლენაა. ვფიქრობ, ისინი თავიანთ პოზიციებზე ერთ-ერთი საუკეთესოები არიან საქართველოში. ამას მინდორზე ამტკიცებენ და დაამტკიცებენ მომავალშიც.

*– გაგრის გულშემატკივარს რას ეტყოდით?*

– პირველ რიგში, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მივულოცავ ყველას და მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას ვუსურვებ. ბევრი გაგრელი მეგობარი მყავს, რომლებსაც ძალიან სურთ ჩვენი გუნდის თამაშებზე დასწრება, მაგრამ სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო ამას ვერ ახერხებს. დიდ წუხილს გამოთქვამენ. სინამდვილეში, ჩვენ გულშემატკივრების დიდი არმია გვყავს. სამწუხაროდ, ვინაიდან ოკუპირებული ტერიტორიის გუნდი ვართ, საკუთარ კედლებში ვერ ვთამაშობთ და მუდმივად სტუმრად გვიწევს მატჩების გამართვა. ვიმედოვნებ, ერთ მშვენიერ დღეს ეს მოცემულობა შეიცვლება და ქალაქი გაგრა დაიბრუნებს თავის საფეხბურთო კლუბს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# საქართველომ მსოფლიოს უარი უთხრა

საქართველოს 18 წლამდე ხელბურთელთა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ უარი თავადვე თქვა. ამის შესახებ ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ განაცხადა. მიზეზი უცნაური და გასაკვირია.




23 მარტს საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ მმართველ ორგანოში წერილი აფრინა, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ ტურნირის მასპინძლობაზე უარს აცხადებდა. საერთაშორისო ფედერაციამ უარი დააკმაყოფილა და ტურნირი 2022 წლის 30 ივლისიდან 10 აგვისტომდე ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში გადაიტანა.

საქართველო უარის მიზეზად გეოპოლიტიკურ სიტუაციას ასახელებს, კერძოდ, კი – უკრაინაში ომს.

აი, რას ამბობს ქართული მხარე:

– უკრაინაში ომმა შექმნა არასტაბილური სიტუაცია. რომელიც პოტენციურ რისკს უქადის მონაწილეებს, მათ შორის მოთამაშეებს, სტაფსა და ოფიციალურ პირებს.

უკრაინაში ომი ბოლო პერიოდში მთელი მსოფლიოსთვის აქტუალურ პრობლემად იქცა, მაგრამ საქართველო რატომ არის საშიში ქვეყანა ამ მხრივ ჩამომსვლელებისთვის, ამას ვერ ვხვდებით.

კიდევ უფრო გასაოცარი ის არის, რომ საქართველოს ნაკრებს ფინალური ეტაპის საგზური, როგორც მასპინძელს ეკუთვნოდა, მაგრამ ავტომატურად ჩამოერთვა. შედეგად, 18 წლამდე გოგონათა ნაკრები მონაწილეობას საერთოდ ველარ მიიღებს.



## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სითხის გამოსახდელი მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 2. მომწამვლელი ნივთიერება; 3. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 4. ბრიტანული ხილის ნამცხვარი; 5. ჟესტებითა და მიმიკებით გადმოცემული უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა; 9. უბანი თბილისში; 12. ისტორიული მოედანი პარიზში; 14. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 15. მამალი თხა; 17. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 18. წითელი ფერის ძვირფასი ქვა.

**თარაზულად:** 6. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 7. ავადმყოფის გასინჯვა სხეულზე თითების კაკუნით; 8. აჭარული ცეკვა; 10. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 11. ძველებური წიგნი, რომელიც შეიცავდა ავადმყოფობის აღწერილობას, ცნობებსა და მეთოდებს მათი მკურნალობის შესახებ; 13. ჩეჩნების, ინგუშების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 16. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 19. ღვინის სპირტი; 20. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბუტი; 2. ილი; 3. ხაბიზგინა; 4. ადათი; 5. სახიობა; 8. ბიზე; 9. ლარიქსი; 10. ფელამუში; 12. ურჯუკი; 13. გრილი; 15. ელისო.

**თარაზულად:** 1. ბაღდადი; 6. მასმედია; 7. ტიბრი; 10. ფლიდი; 11. მზისა; 13. გეიშა; 14. უწერა; 16. უშტი; 17. აბატისა; 18. უცნობი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სალხინო; 2. ფლეში; 3. მალთაყვა; 4. ხირხატი; 5. პენტაგონი; 9. ვექილი; 12. ხერსონი; 14. პუებლო; 15. დანი; 17. სტუკო; 18. ერბო.

**თარაზულად:** 6. ბაყალი; 7. გაბრიაძე; 8. ჩხოუში; 10. გარდა; 11. ნოქალაქევი; 13. შპინდელი; 16. ხერესი; 19. რიტორიკა; 20. სომბრერო.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 აპრილი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0368

ევრო — 3.2473

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8637

100 რუსული რუბლი — 4.1294

## ამინდის პროგნოზი 27 აპრილისათვის




## სერჟინიო დესტმა ტრავმა მიიღო



ბარსელონის ჰოლანდიელმა მცველმა სერჟინიო დესტმა ტრავმა მიიღო და, დიდი ალბათობით, ის მინიმუმ ერთი თვე იუქმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის სეზონი დასრულებულია.

დესტის ადგილს, სავარაუდოდ, მინგესა დაიკავებს, რომელიც წლევანდელ სეზონში სტაბილური თამაშით არ გამოირჩევა.

## გიორგი ჩაკვეტაძეს ჰამბურგი არ გამოისყიდის



გიორგი ჩაკვეტაძე, დიდი ალბათობით, სეზონის ბოლოს ჰამბურგში არ დარჩება, რადგან, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰამბურგი მის გამოსყიდვას არ აპირებს.

ჩაკვეტაძეს გენტში დაბრუნება არ სურს და ახალი გუნდის მოძებნას შეეცდება, თუმცა ჯერჯერობით რომელიმე კონკრეტული კლუბი არ სახელდება.

შესაძლოა, ჩაკვეტაძე სხვა გერმანულ გუნდში გადავიდეს.

## დემბელეს მომავალი გაურკვეველია



ბარსელონის ფრანგ ფორვარდ უსმან დემბელეს ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიუღია იმასთან დაკავშირებით, თუ სად გააგრძელებს კარიერას და შესაძლოა ის პსჟ-ში ვიხილოთ, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თვითონ დემბელეს ბარსელონაში დარჩენა სურს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გუნდში ხავი მოვიდა და უსმანი ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ირმა გიგანი მოცარტის სახლში კონცერტს გამართავს



ქართველი პიანისტი ირმა გიგანი გენიალური კომპოზიტორის მოცარტის სახლში კონცერტს გამართავს.

28 მაისს ირმა შეკრებილი მსმენელისთვის დაუკრავს:

— საოცარი ადგილია მოცარტის სახლი, ადგილი, სადაც მან ბოლო წლები გაატარა. გული მიჩქარდება, რომ წარმოვიდგენ, ამ კედლებში რა იწერებოდა.

სიხარულით მინდა გაგიზიაროთ, რომ 28 მაისს მოცარტის სახლში სოლოკონცერტს გავმართავ.

ხშირად მეკითხებიან აქ, ვენაში მცხოვრები ქართველები კონცერტის შესახებ. ჰოდა, ველი ყველას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 27 აპრილისათვის

**ვერძი** — თქვენს დიპლომატიასა და გამჭრიახობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. სამომავლო გეგმებს ნუ დასახავთ. **კურო** — თამამად გარისკეთ. წარმატებული და იღბლიანი დღეა. ენას კბილი დააჭირეთ. **ტყუპები** — ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება ხელგეწიფებათ. რისკი გამართლებულია. **კირჩხიბი** — თუ რამე ჩაიფიქრეთ, უთუოდ შეასრულეთ. ხელს ვერაფერი შეგიშლით. ახლობლებს მეტი ყურადღება მიაქციეთ და მოეფერეთ. **ლომი** — უფრო მოკრძალებული და თავდაჭერილი უნდა იყოთ. გახსოვდეთ, რომ ფშუტე თავთავი თავს მაღლა სწევს, მძიმე თავთავი კი თავდახრილია. **ქალწული** — ნუ დაგავიწყდებათ მადლიერების გამოხატვა იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც მძიმე წუთებში თანადგომა გაგიწიეს. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **სასწორი** — ახალი ნაცნობობა კეთილისმყოფელი იქნება. რისკის არ შეგეშინდეთ. **ღრიანკალი** — იფრთხილეთ, არავინ მოგატყუოთ. პროფესიული საქმიანობა დიდ ენერგიას დაგახარჯვინებთ. **მშვილდოსანი** — პლანეტები გმფარველობენ. განსაკუთრებით წარმატებულია დღის პირველი ნახევარი. **თხის რქა** — გიმართლებთ სასიყვარულო ურთიერთობებში, კარიერაში. ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა. **მერწყული** — ცრუ დაპირებებს არ ენდოთ. სხვის პრობლემებს გულგრილად ნუ მოეკიდებით. შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ გარშემომყოფებს. **თევზები** — დაძაბული სამუშაო დღეა, თუმცა მდიდარი ფანტაზიისა და წარმოსახვის წყალობით ნებისმიერ საქმეს თავს იოლად გაართმევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

დიდი ხნის უნახავი ორი ქალი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

— გამარჯობა! ნუთუ ეს შენ ხარ? მთელი 15 წელია, ერთმანეთს არ შევხვედრივართ! როგორ გასუქებულხარ, თავიდან ვერც კი გიცანი.

— შენც ძალიან შეცვლილხარ. რომ არა შენი ეს ძველი ყვავილებიანი კაბა, ვერც კი გიცნობდი.

●●●

ქმარმა ფრიგიდულ ცოლს პორნოფილმის ყურება შესთავაზა. უყურეს. ფილმის შემდეგ ქმარი ეკითხება:

— აბა, რას იტყვი?

— იმ ქალს რომ ჰქონდა, ისეთი მანიკური მინდა.

●●●

ლომი, მგელი, მელა და ტურა ორმოში ჩაცვივდნენ. უცბად მგელი აიჯაგრა და კითხულობს:

— ჰაერი ვინ გააფუჭა?!

— მე, — უპასუხა ლომმა, — და რა რო?

— არაფერი, მაგარი სუნია!!!

●●●

ცოლი ქმარს ქუჩაში მამაკაცს დაანახვებს და ეუბნება:

— იმ მთვრალ კაცს ხედავ?

— ვინ არის?

— 10 წლის წინ ხელი მთხოვა, მაგრამ უარი ვუთხარი.

— ღმერთო ჩემო, დღემდე ზეიმობს...

●●●

მაღაზიაში მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

— თუ შეიძლება, ხორბლის წვენი გაფილტრული, მინარევების გარეშე მომეცით.

— რაა???

— არაყი მომეცით...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

— მინდა ზაფხულისთვის ფული შევაგროვო.

— რა, ზაფხული, ფასიანი გახდა?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— დრო — ფულია!

— ჩუმად, თორემ მთავრობაში გაიგონებენ და გადასახადს დაგვიწესებენ.

●●●

მაღაზიის მეპატრონე თანამშრომლებს ეჩხუბება:

— რატომ არ მითხარით, რომ ლუდი და სიგარეტი გაგვითავდა? აი დღეს, გვერდით მშენებლობაზე მყოფი მუშები რომ მოვლენ, არც სიგარეტი ექნებათ და არც ლუდი და მე თქვენ გეკითხებით, ამ ხალხმა როგორ უნდა იმუშაოს?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ილიკო სუხიშვილმა ახალი ცეკვა დადგა



ანსამბლ „სუხიშვილების“ ქორეოგრაფმა ილიკო სუხიშვილმა მაყურებელს ახალი ცეკვა წარუდგინა.

„ქარაბშა“ — ასე ეწოდება მის უახლეს ნამუშევარს, რომელიც ცეკვა „ქართულის“ მელოდიაზეა დადგმული.

ცეკვას „სუხიშვილების“ მოცეკვავეები ნუცი ბეჟაშვილი და მურო გაგოშიძე ასრულებენ.

ვიდეო ინტერნეტში უკვე გავრცელდა და ათასობით ინტერნეტმომხმარებლის მოწონება და დადებითი კომენტარები დაიმსახურა.

## „სან-რემო ჯუნიორზე“ საქართველოს თაკო თომაშვილი წარადგენს



სულ მალე იტალიის ქალაქი სან-რემო სიმღერის საერთაშორისო კონკურს „სან-რემო ჯუნიორს“ უმასპინძლებს.

ფესტივალი სან-რემოში ათეული წლებია, იმართება.

წელს ფესტივალს რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოც შეუერთდება. კონკურსზე ჩვენს ქვეყანას მომღერალი თაკო თომაშვილი წარადგენს.

ზუსტად 5 წლის შემდეგ კონკურსზე გიგა კუხიანიძის სტუდია „გიგა პროდაქშენის“ აღსაზრდელი წარდგება, რომელმაც შესარჩევი ტურები წარმატებით გაიარა და ახლა უკვე კონკურსის გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაერთვება.

## ქართული ანიმაცია ანესის კინოფესტივალზე იქნება წარმოდგენილი




ქართული ანიმაცია სპეციალური სტენდით ანესის საერთაშორისო კინოფესტივალზე იქნება წარმოდგენილი.

ღონისძიების ორგანიზატორია საქართველოს ანიმატორთა ასოციაცია „საქანიმა“:

— ვუკეთებთ ორგანიზებას ქართული ანიმაციის სტენდს ანესის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ბაზრობაზე. ჩვენი მხარდამჭერები არიან საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი და სახელმწიფო პროგრამა „გადაიღე საქართველოში“.

ანიმატორებს, ილუსტრატორებს, პროდიუსერებს, ანიმაციით დაინტერესებულ პროფესიონალებს, კომპანიებსა და სტუდენტებს შეუძლიათ გაწევრიანდნენ ასოციაციაში უფასოდ, შეავსონ ფორმულარი და მოგვაწოდონ ინფორმაცია.

ანესის სტენდზე წარსადგენად ვამზადებთ ინგლისურენოვან დაბეჭდილ კატალოგს. მსურველებს შეუძლიათ მოგვაწოდონ მათი ანიმაციური ფილმის პროექტის ან დამთავრებული ფილმის მოკლე აღწერა ინგლისურ ენაზე და + ერთი ვიზუალი.

კატალოგში განვათავსებთ ასევე ილუსტრატორების ნამუშევრებს. მსურველებს შეუძლიათ გამოგზავნონ მაქსიმუმ 3 ნამუშევარი.

ანიმაციური პროექტების ინფორმაციისა (ინგლისურ ენაზე) და ილუსტრაციების გამოგზავნის ბოლო ვადა 28 აპრილია.

## ივა ფეზუაშვილი ევროპის ლიტერატურული პრიზის გამარჯვებულია



ახალგაზრდა მწერალი ივა ფეზუაშვილი ევროპის ლიტერატურული პრიზის გამარჯვებულია.

დაჯილდოების ცერემონია პარიზის წიგნის ბაზრობაზე გაიმართა. ივა ფეზუაშვილის წიგნი ევროპის ლიტერატურულ პრიზზე მწერალთა სახლმა წარადგინა. 2019 წელს ამავე პრიზის მფლობელი ბექა ადამაშვილი გახდა, რომელიც კონკურსზე ასევე მწერალთა სახლის მიერ იყო წარდგენილი.

ივა ფეზუაშვილის ბოლო რომან „ბუნკერში“ ყარაბაღის ომიდან თბილისში გამოქცეული სიმონიანების საგაა მოთხრობილი — ერთი ოჯახის ამბავი ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

ევროკავშირის პრიზი ლიტერატურაში ევროკავშირის პროგრამა „შემოქმედებითი ევროპის“ მხარდაჭერით ხორციელდება და ყოველწლიურად გამოავლენს ევროპის საუკეთესო ახალ ავტორებს მხატვრულ ლიტერატურაში. პრიზის მთავარ ფოკუსში სამწერლო ოსტატობა ექცევა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 2. საკვები პროდუქტების ზედაპირზე გაჩენილი სოკოს ქსელი; 3. საგნის ზუსტი განსაზღვრა მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 4. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 8. საქართველოში გავრცელებული ფრანგული ვაზის ჯიში; 9. მცირეოდენი განმასხვავებელი ნიშანი რამეში; 10. ანსამბლ „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 12. ისტორიული ციხე-ქალაქი ასპინძის რაიონში; 13. გამკილავი შინაარსის სახელდახელოდ თქმული ლექსი; 15. სამრეწველო ცენტრების, დიდი ქალაქების ცაზე დაგროვილი სქელი შავი ნისლი.

**თარაზულად:** 1. ვალტერ სკოტის რომანი; 6. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 7. ნიდერლანდების ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 10. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 11. ჩინური ფინიკი; 13. სისხლისა და ლიმფისგან დამზადებული ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 14. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 16. იტალიელი მოდელიერი; 17. ერთი ან რამდენიმე ბგერის მოკვეცა სიტყვის ბოლოში; 18. ძვლების ანთება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

